# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 114 ოთხშაბათი, 27 მაისი 1909 წ. № 114

გაზეთი «დროება» სურათებიანი დამატებით ერთის წლით ღირს 8 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით—5 მან. 10 კ., ერთის თვით—1 მან. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ სადამოს 4 საათამდე ღირს 3 მან.. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. [illegible] და მცირე წერილებს და კორესპონდენციებს [illegible] ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება [illegible] დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან [illegible] დღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭВА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

## დროება

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს ყოველკვირეული

## სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—5 მან. 10 კაპ., ერთი თვით—1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

პირველ ივნისიდან წლის დამლევამდე ღირს 5 მ. [illegible] კ.

ხელის-მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში: დიდი ვანქის ქუჩა, N 12, დილით 9-დან 3 საათამდე, საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба" И. С. АГЛАДЗЕ.

### ქართული თეატრი

ოთხშაბათს და ხუთშაბათს, 27 და 28 მაისს

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგ. სასარგებლოდ ს.-პეტერბურგის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი

## ივ. ალ. ჯავახიშვილი

წაიკითხავს ქართულად ორ ლექციას:

## „ქართულის სამართლის ისტორია"

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ადგილების ფასი: თითო ლექციისთვის ლოჟები: ლიტერისა 5 მ., ბენუარი და ბელეტაჟი 3 მ., პარტერი: 1 რიგი 1 მ. 50 კ., 2—4 რიგი 1 მან., 5—10 რიგი 75 კ., 11—17 რიგი 50 კ., გალერეა: 1 რიგი 30 კ., დანარჩენი 20 კ. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში ყოველ დღე დილით 10—2 ს., საღამოთი 6—8 ს. (3—3)

კნეინა რუსუდან დიმიტრის ასული, თავადი ილია ზაქარიას ძე მელიქიშვილი და კნეინა მართა ზაქარიას ასული ჭავჭავაძისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას (26 მაისს, დილის 10 საათზე): პირველი—მეუღლის, ხოლო უკანასკნელნი—ძმის, მისის უდიდებულესობის კარის ეგერმეისტერის თანამდებობაში მყოფის

### თავ. დავით ზაქარიას ძის მელიქიშვილისას.

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 საათზე, განსვენებულის სახლში, ჟუკოვსკის ქუჩა, № 10, დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (3—281—1)

რომანოზ ქაიხოსროს ძე, სალომე გრიგოლის ასული, ბესარიონ, ილია და ვარლამ მახარაძენი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველი ორი—შვილის, დანარჩენნი—ძმის

### მიხეილ რომანოზის ძის მახარაძისას.

ცხედრის გამოსვენება ხუთშაბათს, 28 მაისს, ნაშუადღევის 4 საათზე. პანაშვიდი საღამოს 7 ს. ადვოკატის ქ., საკ. სახლი. (2—კვ.—1)

ტფ. ქართულ გიმნაზიის მეხუთე კლასის მოწაფენი აუწყებენ ამხანაგთ გარდაცვალებას ამ კლასის მოწაფის

### ვასილ ყიფიანისას.

გასვენება ოთხშაბათს, 27 მაისს, მეორე კრასნოგორსკი ტუპიკი, № 2, წმ. ნიკოლოზის (ჩუღურეთში) ეკლესიაში. დაკრძალვა ამავე დღეს წმ. ნინოს მართლმადიდებელთა სასაფლაოზე. (1—280—1)

### ქართული თეატრი

უკანასკნელი გასტროლი ნ. დავითაშვილისა

შაბათს, 30 მაისს ქართულ მსახიობთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად ქართულ სცენაზე ახალი პიესა ალ. სუმბათაშვილისა.

## წინამძღოლნი

ხუთი ეპიზოდი ცხოვრებიდან.

მონაწილეობას იღებს მთელი დასი. დასაწყისი სწორედ 8½ ს.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. რეჟისორი კ. მესხი.

## მიიღება ხელის მოწერა
## დუტუ მეგრელის ნაწერებზე

ორ წიგნად: 1) ლექსები, 2) მოთხრობები.

თითო წიგნი იქნება ჩვეულებრივ ფორმატის 250—300 გვერდამდის და ეღირება (ორივე წიგნი) ხელის მომწერთათვის, ვინც ამ მაისის განმავლობაში გამოიწერს, ერთი მანეთი. წიგნების გამოსვლის შემდეგ, თუ დარჩა გასასყიდად, ფასი გადიდებული იქნება. ფული უნდა გამოიგზავნოს „დროების" რედაქციის სახელზე ტფილისში ან გადაიცეს წ.-კ. საზოგადოების მაღაზიაში ბ. მიო ქუჩუკაშვილს. ქუთაისში ხელის მოწერა მიიღება ბ. თომა მთავრიშვილთან.

ავტორი-გამომცემელი სთხოვს თანამგრძნობთ,

საქმის დასაჩქარებლად, მიიღონ თავისს თავზე ნაცნობთა შორის ხელის მოწერის გამართვა და შეკრებილი ფული, რაც შეიძლება მალე, ხელის მომწერთა სიასთან ერთად გამოგზავნონ აღნიშნულ ადრესით. ხელის მოწერით შემოსულ ფულის რაოდენობა გამოცხადდება ზოლმე გაზეთ „დროება"-ში. გამოცემის სრული ანგარიში და ხელის მომწერთა სია კი ერთ-ერთ გამოცემულ წიგნში. (10—უ.—10)

სტამბა „შრომის" ამხანაგობამ

ქართულად გამოსცა გიოტეს უკვდავი ქმნილება

## ფაუსტი

დრამატიული პოემა ორ ნაწილად, თარგმანი პეტრე მირიანიშვილისა.

წიგნი შეიცავს 486 გვერდსა მოზდილი ფორმატისას და ღირს 1 მან, 25 კ. ვინც ხუთზე მეტს დაიბარებს თითო წიგნი დაეთმობა მანეთად. წიგნის საწყობია „შრომის" სტამბაში.

ადრესი: Тифлисъ, Типографія „Шрома", Василію Болквадзе. (10—6.—10)

სამშაბათს, 2 ივნისს, საღამოს 8 საათზე ტფ. თავად-აზნაურობის სადეპუტატო საკრებულოს სადგომში მოხდება საზოგადო კრება

## „ახალი კლუბის"

წევრებისა. განსახილველია შემდეგი კითხვები:

1. ახალ წევრთა მიღება.
2. კლუბის ბინის შესახებ და
3. არჩევნები ახალ საბჭოს წევრებისა, მათის კანდიდატებისა და სარევიზიო კომისიის წევრებისა.

თუ წევრთა კანონიერი რიცხვი არ დაესწრო, კრება გადაიდება 9 ივნისისათვის, რომელიც ჩაითვლება კანონიერად, რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს. (3—6.—1)

## ჭიათურა

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ადგილობრივ განყოფილების წევრად ჩაწერა და საწევრო გადასახადის სამი მანეთის წარდგენა შეიძლება განყოფილების გამგეობის წევრ-ხაზინადარ ირაკლი დეკანოზიშვილთან. (10—2)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. გერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (ნ. 71)

**ექიმი** ვ. ს. მუსხელიშვილი იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. ვირონნი, N 9. (უ)

**ექიმი** მ. ნ. მელიქიშვილი იღებს ქირურგიულ და ქალების სნეულებათა ავადმყოფებს ყოველ დღე 9—10 საათზე დილით და 4—6 საათზე საღამოთი. ბროსსეს ქუჩა, N 11. (75—86)

**ექიმი** ქუთაისში მ. წერეთელი იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ. ტფილისის ქუჩა, სადაც კაზაკოვის ქუჩა იწყება, ხამხონ აბდუშელიშვილის სახლში, დილით 9—12 ს. და საღამოთი 4—6 ს. (უ)

ახლად გახსნილი

ტფილისის

## კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

ე. გ. ფეოდოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

გ. დ. ლამბაშიძე—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. შინაგ. და ბავშ. ავად.

ბ. ა. პოპოვი—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. ყელისა, ცხვირისა და ყურისა.

გ მ. მაკაროვი—სამშ. და პარასკ. 1—2 ს. შინაგ. და ბავშვ. ავადმ.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

ი. გ. გომართელი—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

ვ. ს. მუსხელიშვილი—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

ს ა ღ ა მ ო თ ი.

ა. გ. მირზოევი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 5—6 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

ნ. გ. ჭიჭინაძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 6—7 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

მიკროსკოპიული, ქირურგიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. (წლ.—ნ.—68)

**ექიმი** კბილისა ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი** ა. დიასამიძე

სადგომის გამოცვლის გამო 25 მაისამდე სახლში ავადმყოფებს არ მიიღებს; ავადმყოფებს გასინჯავს მხოლოდ „სამკურნალოში" ვოგზლის ქუჩაზე N 8, შუადღის 12—2-მდე.

**ექიმები** კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი და მ. ო. სუხარევსკი

იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდუშელიშვილის [illegible] ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—153)

**ექიმი** ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 7—9 ს., საღამოთი 5—7 ს. აჭყალის ქუჩა, N 41, სასულიერო სასწავლებლის პირდაპირ. (უ)

**ექიმი** კბილისა ნ. რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7. ვერა, ოლგას ქუჩა N 25. (უ)

## გაჭირვებასთან ბრძოლა ინგლისში

ეგრედ წოდებული უმუშევრობა მრეწველობის ერთი უბედური მხარეა. უმუშევრობა ყოველთვის თან ახლავს მუშას. მუშის სამუშაო ქირა იმდენად მცირეა, რომ შეძლება არა აქვს ამ ფულიდან შავი დღისთვის გადასდოს რამე. ერთ მშვენიერ დღეს მუშას ეუბნებიან, საჭირო აღარა ხარ, მიბრძანდიო. იწყება მუშის უბედურება. გადადის ერთი ქარხნიდან მეორეში, ერთს ქალაქიდან მეორეში, მაგრამ, კრიზისის დროს, უმეტეს შემთხვევაში, არავინ ყურადღებას არ აქცევს, ცარიელს ისტუმრებენ. ამასობაში ხელიდან მიდის, რაც კი რამ აბადია—სახლის ავეჯეულობა, ტანისამოსი და სხვა. და ბოლოს მუშა იძულებული ხდება, სადმე ღამის გასათევ სახლს შეაფაროს თავი.

რაკი ეს უბედურება საზოგადო სენია, სახელმწიფოს უფლება არა აქვს ამ სენს გულცივად უყუროს და მუშას უთხრას: „როგორც გინდოდეს, ისე მოიქეც და სენს თავი დააღწიეო". ამ აზრისა ყოფილა ინგლისის ვაჭრობის მინისტრი ჩერჩილი. ჩერჩილმა შეადგინა პროექტი, რომელიც ასე თუ ისე შეამცირებს უსაქმოდ დარჩენილ მუშათა რიცხვს. თუ მივიღებთ მხედველობაში იმასაც, რომ ინგლისში დღითი-დღე იზრდება ეს რიცხვი, ადვილად მივხდებით, რად უჭერენ მხარს ჩერჩილს როგორც სოციალისტები და მუშები, ისე მრეწველები.

ჩერჩილი უმუშევრობის მოსპობას ქველმოქმედებით არა ფიქრობს. როგორც ზევითაც მოვიხსენიეთ, იგი ამ საქმეს სახელმწიფოს მოვალეობადა თვლის. ჩერჩილის აზრით, თვითეულ უსაქმოდ დარჩენილ მუშას სახელმწიფოსთვის დღეში ორი მანეთი ზარალი მოაქვს. ჩერჩილი ასე ანგარიშობს: ინგლისელი მუშა, საზოგადოდ, დღეში იღებს 3 მანეთს, აკეთებს-კი 5 მანეთისას. ზედმეტ ორ მანეთით ინახება საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც არა შრომობს და ამასთანავე იზრდება ეროვნული სიმდიდრე. ამრიგად, სახელმწიფო დაინტერესებულია, მუშებს საქმე და ადგილი ჰქონდეთ. ამიტომ ჩერჩილი წინადადებას იძლევა, ამ სენს სახელმწიფო საშუალებით ვებრძოლოთო. ჩერჩილის აზრით საჭიროა შრომის ბირჟები და მუშების დაზღვევა.

შრომის ბირჟა უნდა დაარსდეს ინგლისის ყველა ქალაქში. შრომის ბირჟის სადგომში იქნება განსაკუთრებული ოთახები, სადაც მუშებს შეუძლიანთ გამართონ მიტინგები. შრომის ბირჟაში გამოკრული იქნება სია თავისუფალ ადგილებისა, ამასთან აღნუსხული იქნება, სად და რომელ ქარხანაშია მოსალოდნელი მუშაობის გაცხოველება და სხვა. ამას გარდა შრომის ბირჟის სადგომში მოეწყობა სასადილოები, სამკითხველოები, საცვლების გასარეცხი ოთახები და სხვა. ბირჟის საქმეები უნდა განაგონ ადგილობრივმა კომიტეტებმა. კომიტეტის ნახევარ წევრებს აირჩევენ მუშები, ნახევარს—მრეწველები. თავმჯდომარე იქნება მთავრობის მოხელე. მთელი ინგლისის ბირჟები ტელეგრაფით იქნებიან შეერთებულნი. საქარხნო ინსპექტორები მოვალენი იქნებიან შრომის ბირჟებს ცნობები მოაწოდონ.

ჩერჩილის გამოანგარიშებით, ინგლისს ასეთ ბირჟების შენახვა წელიწადში 2 მილიონ მანეთად დაუჯდება.

ამ ბირჟების წყალობით მუშა იძულებული აღარ იქნება, ერთი ქალაქიდან მეორეში წავიდეს, ერთი ქარხნიდან მეორეში მივიდეს და რაც ფული აქვს, ამაზე დახარჯოს. შრომის ბირჟები მუშას ყოველსავე ცნობას მიაწოდებენ და, ამის გარდა, გზის ფულსაც მისცემენ.

როგორც ზევითაც მოვიხსენიეთ, ჩერჩილს განზრახული აქვს, რომ სახელმწიფომ მუშები დააზღვიოს კიდეც იმ შემთხვევისთვის, როცა უსაქმოდ დარჩებიან. ჩერჩილის პროექტით დაზღვევა ასე უნდა მოეწყოს: თვითეულმა მუშამ ხაზინაში კვირაში 9 კაპეიკი უნდა შეიტანოს; მრეწველიც თვითეულ მუშაზე კვირაში 8 კაპეიკს შეიტანს. ასევე უნდა მოიქცეს მთავრობა. ამ რიგად წელიწადში თითო მუშაზე 52 მანეთი მოგროვდება. როდესაც მუშა სამუშაოს დაჰკარგავს, ადგილობრივ შრომის ბირჟაში წარადგენს წიგნაკს (იმისთანა წიგნაკი ყოველ დაზღვეულ მუშას მიეცემა). შრომის ბირჟა მოვალეა, ან ადგილი უშოვნოს უადგილოს, ან შეინახოს იმ დრომდე, სინამ სამუშაოს იშოვნიდეს.

მუშათა კავშირები ძალიან კმაყოფილები არიან ჩერჩილის პროექტით. ამბობენ, არც ერთი მუშა არ დარჩება, რომ თავი არ დაიზღვევოსო. ჩერჩილის პროექტს გამოსაცდელად მომავალ წელს განახორციელებენ ზოგიერთ ადგილას. (რ. ს.)

ხვალ, 28 მაისს, 1909 წელს

იხსნება

ბალი—რესტორანი

## ამხ—ბის „იუქანე"-სი

სახაზლის ქ., ქართველ თავ.-აზნაურთა საზაფხულო თეატრთან. ბაღში ყოველ დღე დღისით 2—4 ს. და საღამ. 9—2 ს. დაუკრავს ტფ. სახაზინო თეატრის ორკესტრი ბ-ნ ბ. ფალიაშვილის ლოტბარობით.

სადილები: 2 კერძი—60 კ., 3 კერძი—80 კ., 4 კერძი—1 მან. ყოველ გვარ საჭმელსასმელზე არის ცალკე „კარტოჩკები" და „პრეისკურანტები". ფასები ზომიერია. (8—გაუ.—1)

მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტ-ფილოლოგს და

პეტერბურგის უნივ. სტუდენტ-მათემატიკოსს

სურთ აიღონ გაკვეთილები საზაფხულოდ აბასთუმანში.

მოსკოვის ქუჩა. ყანჩელის სახლი, № 20. ავ. ფალავა. (4—1)

**ექიმი** ვ. ლამბაშიძე გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს სამოთხით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**ექიმი** ჯაფარიძე ქ. ქუთაისში აქიმობს ყოველ ნაირ ჭლექით ავადმყოფებს ხორცსა და კან შუა შესასხამ წამლით ტუბერკულინით. ტფილისის ქუჩა, სახლი თ. ნიჟარაძისა. (12—ნ.—7)

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

რუსეთის გაზეთებმა ამ ბოლო დროს ძალიან მოუხშირეს იმ „რეფორმებზე" წერას, რომელიც განუზრახავს სინოდს საქართველოს საექსარხოსოში. ამ აზრით სინოდთან, მოსკოვის მიტროპოლიტის ვლადიმერის თავმჯდომარეობით, განსაკუთრებული კომისიაც შესდგა. მემარჯვენე გაზეთები სიხარულით ეგებებიან სინოდის განზრახვას ამ საქმეში. აი, სხვათა შორის, რასა სწერს, ოქტომბრისტების გაზეთი „გოლოს მოსკვი":

> სინოდთან შემდგარმა კომისიამ უკვე დაამთავრა მუშაობა. თავისი მოხსენება კომისიამ სინოდს წარუდგინა. სინოდს არსებითად არ განუხილავს კომისიის დადგენილებანი და მხოლოდ დაადგინა, შეეკითხოს საექსარხოსოს რეორგანიზაციის შესახებ კავკასიის ნამესტნიკს, ხოლო იმისი გამორკვევა, თუ რა ხერხი მოჰყვება საექსარხოსოს რეორგანიზაციას, მიანდოს სინოდის სამეურნეო ნაწილის გამგეობას.
>
> მიღებული ცნობებით, კომისიას საჭიროდ უცვნია ძირითადი რეორგანიზაცია საქართველოს ეკკლესიის მართვა-გამგეობისა. კომისიამ საჭიროდ სცნო ხელ-ახლად განაწილდეს ეპარქიები კავკასიაში. განზრახულია მთელი კავკასია გაიყოს სამ დამოუკიდებელ ეპარქიად, ამასთან ტფილისში მთავარ-ეპისკოპოსის კათედრა იქნება. სინოდის ამ განზრახვამ, როგორც კავკასიიდან მიღებულ ცნობებიდანაჩანს, გამოიწვია უკმაყოფილება ქართველ სამღვდელოებისა და ადგილობრივ ავტონომისტებისა, რომელნიც უკვე მართვენ კრებებს, ადგენენ პროტესტებს და ეძებენ იმ ზომებს, რომელთა მეოხებითაც შესაძლებელი იქნება სინოდის მიერ განზრახულ რეფორმასთან ბრძოლა. ამათის აზრით, სინოდი მიჩს უთხრის საქართველოს ეკკლესიის „ავტონომიას". აშკარაა, ამ წრეების ფიქრით, ისეთი საქმეები, როგორიც არის ექსარხოსის მკვლელობა, არაფერია, რომ ეს საქმე უშედეგოდ ჩაივლიდა და რომ არ ეცდებოდნენ შემდეგში მაინც ასეთ მკვლელობის თავიდან აცილებას ეკკლესიის, ხალხისა და სახელმწიფოს საკეთილდღეოდ.

უწმ. სინოდისთვის, რა თქმა უნდა, არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს ეკკლესიის რეფორმის საქმეებში ანგარიში გაუწიოს კერძო პირებისა და ორგანიზაციების პოლიტიკურ სურვილებსა და მისწრაფებებს, ამიტომ საფიქრებელია, განზრახული რეორგანიზაცია ეკკლესიის მართვა-გამგეობისა ნახევრად კი არა, სრულიად იქნება განხორციელებული, თუ, რასაკვირველია, საფინანსო ხასიათის მოსაზრებანი არ შეუშლიან ხელს.

რომ სინოდი და აგრეთვე სხვანი არავითარ ანგარიშს არ უწევენ ადგილობრივ მცხოვრებთა სურვილებს, ეს არ ახალია-ძველია და ყველამ კარგად იცის, ამიტომ შიში გაზეთისა ამ მხრივ უსაფუძვლოა. დამშვიდებული ბრძანდებოდენ—სინოდი ისეთს არაფერს გააკეთებს, რაც სასიამოვნო იქნება ხალხისთვის. პარტიები ამ შემთხვევაში სიტყვას მასალად არიან მოყვანილნი—მათ ხმაც არ ამოუღიათ.

## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

26 მაისი

### ოსმალეთი

**სტამბოლი.** არაბეთში არეულობა ძლიერდება. ადგილობრივი მთავრობა ჯარსა თხოულობს. ყოფილი შერიფი მეკკი-ალი-ფაშა, რომელიც აქ გამოიწვიეს, ეგვიპტეში გაიქცა. მოძრაობას არაბეთში ეგვიპტედან მეთაურობენ.

გამოაქვეყნეს დროებითი წესები, რომლითაც ჯარში ქრისტიანებს თავისუფალ შეიმრებად მიიღებენ.

### სპარსეთი

**პარიზი.** „მატენ"-სა და „ჰუმანიტე"-ში დაბეჭდილია სათარ-ხანის დეპეშა. სათარ-ხანი პროტესტს აცხადებს რუსების წინააღმდეგ, სპარსეთის შინაურ საქმეებში ჩაერივნენო.

**თეირანი.** კაზვინში მშვიდობიანობა მყარდება. კაზვინსა და რეშტიდან რევოლიუციონერების რაზმები მიდიან. გილდანს კავკასიელები თავს აიტებენ.

### საზღვარ-გარედ.

**ბერლინი.** პარლამენტში ოფიციალურად მიესალმნენ ინგლისის პარლამენტის დეპუტატებს, მუშათა ბელადებს. დეპუტატებს სიტყვით მიმართეს შინაგან საქმეთა მინისტრის სტატს-სეკრეტარმა ბეტმან ჰოლვეგმა და რეიხსტაგის ვიცე-პრეზიდენტმა კომპფმა. სიტყვები ორივემ ინგლისურად წარმოსთქვა.

**სტოკჰოლმი.** სხვა და სხვა ადგილას გაიმართა ეროვნული დღესასწაული. მიზეზი კონსტიტუციის 100 წლის იუბილეია.

**პეკინი.** საფრანგეთი, ინგლისი, და გერმანია სესხს აძლევენ ჩინეთს. ვალი ჩინეთმა უნდა გადაიხადოს 25 წლის განმავლობაში. ვალის გადახდა 10—17 წ. შემდეგაც შეიძლება, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ აქციონერებმა ზედმეტად 2½% მისცენ. „ტაიმს" პეკინიდან ატყობინებენ: ამ სესხიდან ხუთ მილიონ მანეთს ბელგიის აქციონერებს მისცემენ და გამოისყიდიან ხანკოუ-კანტონის რკინის გზას. დანარჩენ 50 მილიონს ახალ რკინის გზებს მოახმარებენ.

**ვენა.** ოფიციალურად დამტკიცდა, რომ პოდგრუჯში არტილერისტების წამლის საწყობის აფეთქების დროს სალდათები არ დახოცილან, დაშავებულა რამდენიმე მოქალაქე. წამლის ერთი საწყობი სულ მთლად აფეთქდა, მეორე დაინგრა. ნახევრად დაინგრა სამი მაღაზია. მაღაზიის საქონელი არ გაფუჭებულა.

ოსმალეთის კომისია პეტერბურგში

წავიდა, სადაც რუსეთის მთავრობას აცნობებს ოსმალეთის ტახტზე ახალ სულთან მაჰმედ მ.,ხუთის ასვლას.

**ლონდონი.** რეიტერის სააგენტოს 25 მაისის თარიღით ბუშირიდან ატყობინებენ: ტანგისტანელების რაზმი ბუშირში შემოსვლას სცდილობს. ეჭვს გარეშეა, რომ ტანგისტანელები საიდა-მარტუზას შთაგონებით მოქმედებენ. ქალაქის მიდამოებში სერიოზული შეტაკება მოუხდათ ტანგისტანელებსა და დარიიბეგის მომხრეებს. იუწყებიან, რომ დარიიბეგი ხალხსა ჰკრეფს და აზრადა აქვს დასაჯოს ტანგისტანელები. ამას გარდა დარიიბეგმა გადასწყვიტა საიდ-მერტუზას სამუდამოდ ბოლო მოუღოს.

**ვენა.** დილის 4 საათზე ფიუმედან საიდუმლოდ მოვიდა ბოლგარიის მეფე ფერდინანდი.

დილით დაიწყო მეექვსე კონგრესი დამზღვევ საზოგადოებათა წარმომადგენლებისა.

### რ უ ს ე თ ი

**პეტერბურგი.** 24 მაისს ხელმწიფე-იმპერატორმა მიიღო სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარე ხომიაკოვი. აუდენციამ ერთ საათს და 20 წუთს გასტანა. ხომიაკოვმა მოახსენა, რა გააკეთა სახელმწიფო სათათბირომ ამ წელს და გადასცა თავის შეხედულება სათათბიროს მომავალ მუშაობის შესახებ.

სახელმწიფო სათათბიროს ამ სესიაში უნდა განეხილა 686 კანონ-პროექტი. აქედან, მინისტრების განცხადების თანახმად, მთავრობას დაუბრუნეს 9 კანონ-პროექტი, კომისიებმა განიხილეს 400 კანონ-პროექტი, სათათბირომ დაამტკიცა 320, უარჰყო-17. სათათბიროს საერთო სხდომას არ დაუსრულდებია 3 კანონ-პროექტის განხილვა, განსახილველად კომისიების მიერ მომზადებული 78; კომისიებს განსახილველად აქვთ 290 კანონ-პროექტი. ამას გარდა, სათათბირომ განიხილა ყველა უწყების გასავლის პროექტები და სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილი. ამ სესიის განმავლობაში სათათბიროს დეპუტატებმა შეიტანეს 36 კანონ-პროექტი და 34 შეკითხვა. სათათბირომ სამი შეკითხვა საჩქაროდ სცნო, სამი მიიღო, სამი უარჰყო და ერთი შეკითხვა თვითონ ავტორებმა წაიღეს უკან. სათათბიროს განსახილველი აქვს 40 შეკითხვა, აქედან 12 შეკითხვა პირველ სესიიდან არის დარჩენილი, 28 მეორე სესიიდან. მეორე სესიაში 23 მაისამდის იყო 117 სხდომა.

დღე-დამის განმავლობაში ხოლერით ავად გახდა 7, გარდაიცვალა 4 კაცი. საავადმყოფოებში არის 20 ავადმყოფი.

**კერჩი.** ძლიერმა ქარმა გადააბრუნა ენიკალეში მიმავალი ნავი. ნავში ისხდნენ სამხედრო ინჟენერი სუმაშკო და ორი მენავე. სუმაშკოს მიჰქონდა 1800 მანეთი, რომელიც მუშებისთვის უნდა დაერიგებინა. სამივენი დაიხრჩნენ მათი გვამები იპოვნეს. ფულიც ნახეს.

**ნოვოჩერკასკი.** სოფ. მისაილოვკაში მოჰკლეს პოლიციის დარაჯი.

**ყაზანი.** მოსკოვ-ყაზანის რკინის გზის საქონლის სადგურზე ძლიერი ცეცხლი გაჩნდა. ცეცხლისაგან გადაიწვა 100 ვაგონი და სხვა ზარალი ნახევარ მილიონ მანეთს უდრის.

**შაკლი.** გუშინ იანიშაში ცეცხლისგან გადაიწვა 35-მდე სახლი. სახლები მეტ ნაწილად დაზღვეული არ არის. ცეცხლის გაჩენის მიზეზი არ იციან.

**ოდესსა.** კათალიკოსი იზმირლიანი პეტერბურგს წავიდა.

სამხედრო სამართალში მისცეს სტუდენტთა ცენტრალური ორგანოს წევრნი. ეს ორგანიზაცია 1905 წელს მუშაობდა.

## ფიქრები აღზრდა-განათლების შესახებ.

სახელმწიფო სკოლაში, როგორც ყველამ კარგად ვიცით, ორ გვარი ხალხი მეთაურობს საქმეს: მასწავლებელნი და აღმზრდელნი. მასწავლებელი ცოდნას აწვდის მოწაფეს, აღმზრდელი კი ზრდის ამ უკანასნელს, ესე იგი ვითომ და ხასიათს უმტკიცებს და წმინდა ზნეობის გზაზე აყენებს.

აღზრდა-განათლების საქმის ამგვარად დაყოფას საფუძვლად სიყალბე და ფუჭი ორჭოფობა უდევს. ადამიანის ცხოვრებაში არ მოიძევება ისეთი ცოდნა, რომელიც არა ზრდიდეს ადამიანს და შეუძლებელია ისეთი აღზრდა, რომელიც ცოდნის გარეშე აღწევდეს საწადელს. თვით ცოდნა ზრდის ადამიანს, სულსა და გულში საფუძველს უმტკიცებს ცხოვრებაში მოღვაწეობისათვის. ზნეობრივად აღზრდილი ადამიანი ისეთი სულდგმულია, რომელმაც **მტკიცედ იცის**, თუ როგორ უნდა მოიქცეს, რა გზას უნდა დაადგეს ცხოვრებაში. ვინ შესძინა მას ეს ცოდნა, რანაირად მიაღწია ამ ჭეშმარიტებას, თუ არ განათლების საშუალებით, იმ განათლებისა, რომელიც უმაღლეს ცოდნას, უწმინდეს წადილს, ზნეობრივ იდეალს უღვივებს ადამიანს გულში. აღზრდა და განათლება ერთი და იგივე მოღვაწეობა, ერთმანეთის შემცველი მოქმედებაა და მათი გაყოფა, განცალკევება შეუძლებელია. ის ცოდნა, რომელიც არა ზრდის ადამიანს, არაფრად ჩასაგდებია, ის აღზრდაც, რომელიც მტკიცედ შეძენილ ცოდნის საფუძველზე არა სდგას, არაფრად ფასობს.

საქმე ორ ცნების,—აღზრდისა და განათლების,—გაყოფა-განცალკევებაში კი არ არის. ჩვენ უმთავრეს საგანს შეადგენს მათი შეერთება, ერთ განუყოფელ ცნებად გადაქცევა და საჭირო, ნამდვილ ჭეშმარიტ შინაარსით ავსება. ჩვენ უნდა ვეცადნეთ გამოვარკვიოთ არა ის, თუ რა არის აღზრდა და რა არის განათლება, არამედ ის, თუ როგორი უნდა იყოს ნამდვილი, ჭეშმარიტად ნაყოფიერი და განუყოფელი აღზრდა-განათლება. ამის გამოსარკვევად საჭიროა ჩვენ აწმყოს თვალი მოვავლოთ და დაუკვირდეთ. თვალ წინ გვეხატება ცხოვრებაში დიადი რიცხვი მრავალნაირად განათლებულ და ერთობ მცირე რიცხვი ზნეობრივად აღზრდილ ადამიანთა. ეს იმას მოწმობს მხოლოდ, რომ სახელმწიფო სკოლა აწვდის ადამიანს იმ ყალბ ცოდნას, რომელიც ყალბად ზრდის ადამიანს, და აი რატომ.

დღევანდელ სახელმწიფო სკოლაში სწავლა მიღებული ადამიანი, მოხელეა იგი, მასწავლებელი, ექიმი, ინჟენერი, ადვოკატი, თუ სხვა რაიმე ხელობის კაცი თავის შეძენილ ცოდნას ისე იყენებს, როგორც ეს მამა-პაპათა ჩვეულება იყო. მოხელე იმავე კანტორაში ზის, სადაც იმისი წინაპრები ისხდნენ და იმავე ქაღალდებს ატრიალებს, რომელსაც ისინი ატრიალებდნენ, მასწავლებელი იმასვე ასწავლის, რასაც ძველები ასწავლიდნენ ან რაც ზევარდმო ნაბძანები აქვს, ექიმები საავადმყოფოებში და ადვოკატები სასამართლოებში ისევ ისე ძველებურად ჰკურნავენ ადამიანს, რომელიც, დროებით განთავისუფლებული, შემდეგ კი თავის ცხოვრების ძველ კალაპოტში ჩამდგარი, ისევ იმოსება ძველ სნეულებითა და ზნე-დაცემულობით; იმათ მზგავსად ინჟენერებიც ისევ ძველებურად აშენებენ რკინის გზებსა და ხიდებს, რომლებზედაც მდიდრები მშიერ ხალხის თვალ-წინ აუარებელ პურს ელვის უსწრაფეს დატარებენ.

მთელი ეს განათლებული ხალხი, სახელმწიფო მოხელენი, მასწავლებელნი, ექიმნი, ადვოკატნი, ინჟენერნი და სხვანი დღევანდელმა სახელმწიფო სკოლამ ისე აღზარდა და გაანათლა, რომ ისევ ძველ კალაპოტში ჩააყენა, არ დააფიქრა იმაზე, თუ რანაირი მოხელეობაა საჭირო დღევანდელ წყობილების და უთანასწორობის შესაცვლელად, რანაირი მასწავლებლობაა საჭირო განახლებულ წყობილების შესაქმნელად, რანაირი ადვოკატობა და ინჟენრობა უნდა კაცთა შორის აშკარა და უსამართლო უთანასწორობის ძირიან - ფესვიანად აღმოსაფხვრელად.

დღევანდელი სახელმწიფო სკოლა თავის დღეში არ დააფიქრებს მოწაფეს იმაზე, თუ რა მიზეზი ჰქმნის დღევანდელ უთანასწორობას და ასწავლის მხოლოდ იმას, აწვდის ისეთ ცოდნას, რომელიც აღზრდის მას ამ წყობილების გასამტკიცებლად. ეს სკოლა ასწავლის მოწაფეს, რომ ყოველ ნაირი ცოდნა საჭიროა და სასარგებლო ადამიანისათვის. იგი უნერგავს მას რწმენას, რომ თუ დღეს არა, მომავალში უეჭველად მეცნიერება განათავისუფლებს ადამიანს შიმშილ-წყურვილისა და ყოველნაირ უბედურებისაგან. ამნაირად, დღეს სახელმწიფო სასწავლებელში იზრდება ისეთი სულდგმული, რომელმაც **იცის**, რომ დღეს მშიერ ადამიანის შვილის შვილები შორეულ მომავალში უეჭველად მაძღრები იქნებიან, დღეს მწყურვალე სულდგმულის შთამომავლობა ბოლოს და ბოლოს ამ წყურვილს უეჭველად მოიკლავს, დღეს ყოველ-ნაირად გაჭირვებული და უბედური არსება მის მიერ წარმოშობილ მომავალ მოდგმის პირით უზენაეს ბედნიერებას და კეთილდღეობას მიაღწევს.

გამოდის, რომ დღევანდელი განათლებული ადამიანი უმაღლესად ახირებული და სასაცილო რწმენის კაცია. იმას ჰგონია, რომ დღეს ცოცხალი, ხორც-შესხმული და იმის თვალწინ ნათლად და ცხადად მდგომარე მშიერი ადამიანი გაძღება და დაკმაყოფილდება, თუ ჯერ უსიცოცხლო, ხორც-უსხმელ და არ არსებულ იმის მაძღარ შვილის-შვილის სურათს დაუტავ და დაუყენებ თვალ-წინ. დღევანდელ განათლებულ კაცს სწამს, რომ დღეს მწყურვალე ადამიანის ცხოვრების წყლად ეკურება შორეულ მომავალში იმისი წყურვილ-მოკლულ შთამომავლობის წარმოდგენა. ხოლო ყველამ კარგად ვიცით, რომ განყენებულ ქაღალდზე დახატულ ლუკმით და წყლით, რომელიც ბოლოს და ბოლოს ვიღაც სხვას ერგება, დღეს მშიერ-მწყურვალე ადამიანის დაკმაყოფილება შეუძლებელია.

ყველასათვის ცხადია, რომ ადამიანს მხოლოდ თავისი ცოცხალი, უკვე დაბადებული შვილები და შვილის-შვილები უყვარს და, რასაკვირველია, არაფერი დარდი არა აქვს იმ თავის შთამომავლობისა, რომელიც ჯერ არც კი გაჩენილა ქვეყანაზე.

დღევანდელმა სკოლამ ვერაგული საშუალება იხმარა განათლებულ კაცის მოსაბირებლად და ცხოვრებაში არსებულ წყობილების მოსამსახურედ გადასაქცევად. იმ განზრახვით, რათა განათლებულმა ადამიანმა არაფრად ჩააგდოს, არარად მიიჩნიოს, რომ მშიერი ხალხი იმისი უნაყოფო მოღვაწეობით უკმაყოფილოა, ამ წყობილებამ თვით ეს განათლებული მოღვაწე გააძღო და დააკმაყოფილა. მისცა ეგრედ წოდებული დიპლომი, სწავლის შესრულების მოწმობა, რომელიც ყოველ-ნაირ შეღავათს და კარგ ჯამაგირს უმკვიდრებს განათლებულ ადამიანს ამ წუთი-სოფელში, შესძინა თბილი სახლი და ჩაცმა-დახურვა და ამავე დროს აღავსო იმ რწმენით, რომ იმისი ცოდნა ხალხისათვის უსაჭიროესი და ფრიად სასარგებლო ცოდნაა.

ამგვარ ცოდნით აღზრდილი ადამიანი, რასაკვირველია, ყალბ აღზრდა-განათლებისა და დღევანდელ ყალბ წყობილების კაცია და სხვა არაფერი.

**ილია ნაკაშიძე.**

## ახალი ამბავი

### ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ **თავ. დ. ზ. მელიქიშვილის გარდაცვალება.** ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გუშინ, 26 მაისს, დილის 10 საათზე ტფილისში გარდაიცვალა ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლად ნამყოფი თავ. დ. ზ. მელიქიშვილი.

✦ **სახალხო უნივერსიტეტი.** ტფ. სახალხო უნივერსიტეტის გამგეობას გუშინწინ 25 მაისს სხდომა ჰქონდა. რადგან მუშტაიდში 31 მაისს სახალხო სეირნობას მართავს ქართველ ქალთა სახელოსნო სკოლა, უნივერსიტეტის გამგეობამ დაადგინა, უნივერსიტეტის სასარგებლოდ სეირნობა გამართოს 7 ივნისს. ამავე სხდომაზე გამგეობამ დაადგინა, საზოგადოების სკოლებში სწავლა შესწყვიტოს და მოსწავლენი დაითხოვონ 1 ივნისს. გამგეობამ დაადგინა აგრეთვე, მოსთხოვონ საზოგადოების სექციებს დაიჩქარონ ანგარიშების წარდგენა

✦ **ბანკის კრება.** 25 მაისს ტფ. სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის რწმუნებულთა კრებამ, როგორც ვწერდით, დაამტკიცა ანგარიში და ამას გარდა [illegible] 1909 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა. ხარჯი [illegible] 149,000 მანეთამდე. ხარჯთ-აღრიცხვის ზოგიერთ მუხლებმა ხანგრძლივი კამათი გამოიწვია. განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია კრებამ ორს საქმის მწარმოებლისათვის 300 მანეთამდის მომატებას. კრებამ უარ-ჰყო საქმის მწარმოებელთა ჯამაგირების მიმატება. განსვენებულ დირექტორის ვ. ა. სულხანიშვილის ქვრივს მისი ქმრის 25 წლის სამსახურისათვის პენსია გაძლიერებული დაენიშნა. კრებამ მცირედის ცვლილებებით დაამტკიცა ხარჯთ-აღრიცხვა. გუშინ, 26 მაისს, მთელი დღე კრებამ მოანდომა ბანკზე დარჩენილ მამულების შესახებ ინსტრუქციისა და საზოგადოდ ამ საქმის მდგომარეობის განხილვას. ინსტრუქციის მიღების პრინციპიალური მოწინაამდეგე ბევრი აღმოჩნდა. უმრავლესობა ორატორებისა ყურადღებას აქცევდა იმ გარემოებას, რომ დარჩენილი მამულები დიდ ზარალის მეტს არას აძლევენ ბანკს და სთხოვდნენ გამგეობამ სულ მოიშოროს ეს მამულები თავიდან— გაჰყიდოს ან იჯარით გასცეს. წარმოითქვა სხვა მოსაზრებაც. ზოგნი ამბობდნენ, აჩქარებით მამულების ლიკვიდაცია შეუძლებელია, რომ პროცესი ლიკვიდაციისა თანდათან უნდა მოხდეს, ხოლო მანამდე მამულების მართვა-გამგეობისათვის საჭიროა სახელმძღვანელო ინსტრუქციაო. ნაშუადღევს 2 საათზე კრებამ გაიგო გუბერნიის მარშლად ნამყოფის თავ. დ. ზ. მელიქიშვილის გარდაცვალების ამბავი და იმის ხსოვნის პატივ საცემად სხდომა საღამოს 8 საათამდე შესწყვიტა. მამულების შესახებ თათბირი კრებამ საღამოთი განაგრძო.

✦ **ჟენევის უნივერსიტეტი და ქართველი სტუდენტობა.** როგორც ჟენევიდან იუწყებიან, მდგომარე წლის ივლისის პირველ რიცხვებში შვეიცარიელნი დღესასწაულებენ ჟენევის უნივერსიტეტის დაარსებიდან 350 წლის შესრულებას. ამ დღესასწაულში მთელ განათლებულ ქვეყნიერების უმაღლესი სასწავლებლები მიიღებენ მონაწილეობას მილო-

## კამათის დასასრული

(შემდეგი *)

სადაო საგანი იმაშია, იყო თუ არა ძველს დროში ეროვნული კულტურა. ბ-ნი ანი უარ-ჰყოფს ამას. ეროვნული კულტურა არ იყო არც რომსა და საბერძნეთში, არც ძველს საქართველოში. რომისა და საბერძნეთის შესახებ უკვე გამოვსთქვით რამდენიმე მოსაზრება. ახლა საქართველოზე შევჩერდეთ. და ეს უბრალო ცნობის მოყვარეობა არ უნდა იყოს ჩვენის მხრივ. თუ ჩვენში წარსულში ეროვნული კულტურა არ იყო, თუ იგი მხოლოდ ახალი დროის, კაპიტალიზმის პირმშო შვილია, ამ შემთხვევაში წარსული ჰკარგავს ჩვენთვის მნიშვნელობას, ჩვენსა და მის შორის კავშირი უნდა გაწყდეს და ცხოვრების გასაძღოლად და ასაშენებლად მასალას უნდა ვეძებდეთ მარტოოდენ პოლიტიკურ ეკონომიის ახლად გამოცემულ სახელმძღვანელოებში. ბ-ნი ანი, სწორედ ამ გზაზედა სდგას. ჩვენის ღრმა რწმენით-კი საქმე ასე არ არის. ქართულ ეროვნულ შემეცნებას საძირკველი ჩაეყარა ძველს დროში. და ამიტომ ამ ჩვენს ძველ დროს სამართლიანად და პატივისცემით უნდა მოვეპყრათ. ეს სამართლიანობა არა სჩანს ბ-ნ ანის ნაწერებში. ან კი საიდან უნდა იყოს, როდესაც, მისის აზრით, ჩვენი ძველი წარსული დახასიათდება ისე, როგორც დაახასიათა იგი ქსენოფონტემ: „ქართველები ნათესაობას არ მისდევენ, საქმელად ხმარობენ ყოველსავე სულდგმულსა, ადამიანის მძოვრსაც. თაყვანს სცემენ მზესა, მთვარესა, ვარსკვლავთა, ნივთთა და პირუტყვთაო" („ეკალი", № 3). იფიქრეთ მართლაც, ამ ველურობამ რა უნდა შეგვძინოს და რა უნდა გვასწავლოს!

იმ თავითვე ეს იყო ლეიტ-მოტივი ბ-ნ ანის წერილებისა. და თუმცა უკანასკნელ ნაწერშიაც ამაზე სდგას, მაგრამ ზოგიერთ საკითხში შესამჩნევად გადაასხვაფერა და გადააკეთა თავისი აზრი. აი გასინჯეთ. ჯერ იყო და ამტკიცებდა, ტფილისის გარდა ძველს საქართველოში ქალაქი არ იყოო. მე დაუსახელე ბევრი სხვა და სხვა ქალაქი და ვიმოწმე მოსე ჯანაშვილის თხზულება, სადაც ნათქვამია, რომ ჩვენში „მრავალთა საუკუნეთა უწინარეს ქრისტეს შობისა ჩნდებიან დაბა-ქალაქნი". ეს სიტყვები დაიხვია ხელზე ბ-ნმა ანმა და თითქოს სასაცილო ეპიგრაფადაც კი გაიხადა. ხა...ხა...ხა... მრავალთა საუკუნეთა ქრისტეს შობის წინ—დიდებული ცივილიზაციაო!—იცინის და ხარხარებს ყოველ ფეხის გადადგმაზე ბ-ნი ანი. ბატონო, აქ დიდებულ ცივილიზაციაზე არ იყო ლაპარაკი. ლაპარაკია მხოლოდ დაბა-ქალაქების არსებობაზე. ოხუნჯობთ და ამ ქალაქების არსებობას კი ვერ უარ-ჰყოფთ. კი, იყვნენ ქალაქები, გვეთანხმება ახლა ჩვენი პოლემისტი, მაგრამ ეს ხომ სავაჭრო ქალაქები არ იყო, არამედ ციხე-სიმაგრეებიო. შეიძლება ციხე-სიმაგრეებიც იყვნენ, მაგრამ სავაჭრო ფუნქციებსაც ასრულებდნენ. ივერიის აღწერილობა სტრაბონის მიერ ბ-ნ ანსაც აქვს გაცნობილი. როგორც უკვე ვიცით, სტრაბონი მოგვითხრობს, იბერიის ქალაქებში ლამაზი შენობებია, კრამიტიანი სართულები ანუ ჭერები სცოდნიათო. გაშენებული იყო მოედნები, ბაზრები და საზოგადო დაწესებულებანი. ამის შესახებ ბ-ნი ანი ბრძანებს: „ა. ჯორჯაძე სიტყვა ქალაქს და კრამიტს შეცდომაში შეუყვანია და ამიტომ გაიძახის: ამ დროს ჩვენ სამოქალაქო ცხოვრება გვქონდაო" (ეკალი № 3). უნდა მოვახსენო ბ-ნ ანს, რომ ამ „შეცდომას" სპეციალისტი ისტორიკოსებიც აღიარებენ. პრ. ჯავახიშვილის უკანასკნელ თხზულებაში ვკითხულობთ: „აღებ-მიცემობა და საზოგადოებრივი ცხოვრება განვითარებული და დაწინაურებული უნდა ყოფილიყო, თორემ ვის რად უნდოდა ან მოედნები და ბაზრები, ან შენობები საზოგადო დაწესებულებისათვისაო". („ქართველ ერის ისტორია", გვ. 79), ბოლოს ბ-ნი ანიც დაგვეთანხმა, რომ ეს ასე იყო. მაგრამ ახლა სხვანაირად მოუარა საქმეს. წინად ამბობდა: „სავაჭრო ცენტრები საქართველოს გარეშე იმყოფებოდნენო". ახლა აღარ უარ-ჰყოფს ამ ცენტრების არსებობას საქართველოში, მხოლოდ ამბობს, ეს ცენტრები უცხოელებისა იყოო: „საქართველოს საზღვრებში მყოფი სავაჭრო ცენტრები—საერთაშორისო ცენტრები იყო და არა ნაციონალურიო." როგორც ჰხედავთ, ბ-ნ ანის სიმტკიცე ამგვარ საკითხების გადაწყვეტაში ფრიად სუსტი და უმნიშვნელოა. ახლა „უცხოელებით" უნდა იხსნას თავი. კარგი, ვთქვათ, მართლაც ასე იყო. მაგრამ, არსებითად, ეს გარემოება არაფერსა სცვლის. უცხოელებისა იყო ძველს დროში ვაჭრობა, თუ ნაციონალური, მას მაინც თავისი გავლენა ჰქონდა მცხოვრებთა ცხოვრებაზე. თუ უცხოელი ვაჭარი აკმაყოფილებს და ქართველ ხალხის საჭიროებებს, თუ ფული ტრიალებდა ქვეყანაში, საქონლის გაცვლა-გამოცვლა სწარმოებდა, გზები კეთდებოდა, ხიდები შენდებოდა და ხალხში ივთარდებოდა გემოვნება და ახალი მოთხოვნილება, დიდი მნიშვნელობა არა ჰქონდა იმ გარემოებას, ქართველი ტომისა იყო მაშინ ვაჭარი და მრეწველი, თუ ბერძენი, რომაელი, თუ ებრაელი.

მაგრამ არც ამაშია საქმე. განვითარებულ სამოქალაქო ცხოვრებაზე როცა ვლაპარაკობდი, უმთავრესად სახეში მქონდა თამარ მეფის დრო, როდესაც შემუშავდა რთული სააღებ-მიცემო და საფინანსო დაწესებულებათა სისტემა. და ბ-ნი ანი აქაც ორგულობს: „ჩვენს წერილებში მეთორმეტე საუკუნის მოქალაქობაზე სიტყვაც არ გვითქვამსო", გვარწმუნებს ახლა ჩვენი პუბლიცისტი. საკვირველი საქმე კია, მთელი კამათი სწორედ ამაზე იყო დაფუძნებული, რომ ბ-ნ ანის მტკიცებით, რუსების შემოსვლამდე ჩვენში ველურობის მეტი არა ყოფილა რა, ეხლა კი არა თუ აღიარებს ჩვენ მიერ ნაჩვენებს ფაქტებს, არამედ ეცდება კიდეც იმას, რასაც წინად დასცინოდა; „ჩვენ ფიქრადაც არ მოგვდის უარვყოთ ის, რომ ამ დროს ტფილისში და საქართველოს სხვა კუთხეებში ვაჭრობა საკმაოდ განვითარებული იყოო". თურმე ნუ იტყვით, განვითარებული ვაჭრობა ჰქონია. მეტიც! „თუ კი ქრისტეს წინ ვერ გავავითარეთ სავაჭრო ცენტრები, ეს არ ნიშნავს იმას, რომ შემდეგ საუკუნოებშიაც ამ მდგომარეობაში ვიყავითო". ნუგეშ დაკარგული აღარ არის ჩვენი პესიმისტი მწერალი! ვაჭრობაც გვქონია, სავაჭრო ცენტრებიც და სხვა ამისთანა რამეებიც! დალოცვილო, თუ კი მაგრე იყო, იმ თავითვე იტყოდით და ჩვენ თავს აღარ მოვაცდენდით ამოდენა ლაპარაკით! მაგრამ მკითხველი გულ-უბრყვილო იქნება, თუ მართლა დაუჯერა ბ-ნ ანს. გარეგნულად თითქოს გეთანხმებათ, მაგრამ აქვე ისეთ ორმოს გაგითხრით, რომ თავ-ფეხიანად, ქალაქებ ვაჭრებიანათ დაგასაფლავებთ და მძიმე ლოდს აგიყუდებთ. მართალია, თამარ მეფის დროს ვაჭრობა იყო, მაგრამ „მთელი ეს ვაჭრობა, სომხების, ებრაელების და კათოლიკეთა ხელში იყოო." ეს კლასიფიკაციაც სამაგალითოა. „კათოლიკობა" ნეტავ რომელ ეროვნებას წარმოადგენს? ფინიკიელების მონათესავე ხალხია ალბად! ქართველებად მარტო მართლ-მადიდებელი ქართველი მიაჩნია ბ-ნ ანს, სხვა სჯულის ქართველი ქართველი აღარა ყოფილა. მაგრამ არც ეს არის დამტკიცებული, რომ იმ დროს მართლ-მადიდებელი ქართველი ვაჭრები არ იყვნენ. თუ კი იყვნენ, სადღა არიანო? ჩვენ კი გვგონია, რომ რაკი ჩვენში ქართული სავაჭრო და საფინანსო დაწესებულებანი იყვნენ, რაკი ამ დაწესებულებათ მეცხრამეტე საუკუნემდე უცვლელიათ, სამშობლო ნიადაგზე ვაჭართა წოდებაც უნდა ყოფილიყო. შესაძლებელია, რომ ჩამომავლობით ვაჭართა უმეტესი ნაწილი არა ქართველი იყო, ხოლო ისინი მაშინ გაქართველებულნი იყვნენ და საქართველოში ასრულებდნენ იმ საქმეს, რა საქმესაც ასრულებდნენ ქართველ ტომის ვაჭრები.

თავის „სადაო კითხვების" დაწერის დროს ბ-ნ ანს გადაუთვალიერებია დიმიტრი ბაქრაძის „საქართველოს ისტორია". წარსულის შესახებ ცნობებს ამ წყაროდან იღებს იგი. და ძლიერ კმაყოფილია, რომ მიუგნია ნამდვილ ისტორიულ თხზულებისათვის. „საუკეთესო ისტორია უძველესი დროისა, ჩვენის ფიქრით, დ. ბაქრაძის „საქართველოს ისტორიაა", ამბობს ბ-ნი ანი ისეთის კილოთი, თითქოს საგანი შესწავლილი და სხვა წყაროებიც გათვალისწინებული ჰქონდეს. მაგრამ ეს ცარიელი სიტყვაა. მას სრულიად არავითარი წარმოდგენა არა აქვს იმ დიდ მუშაობის შესახებ, რომელიც სწარმოებს უკანასკნელ 10—15 წ. განმავლობაში პეტერბურგის აღმოსავლეთის ფაკულტეტზე. პროფესორი ჯავახიშვილი თავის ახლად გამოცემულ „ქართველ ერის ისტორიის" წინასიტყვაობაში ამბობს: „უკანასკნელი ოცი, მეტადრე ათის წლის განმავლობაში ბევრი დიდ მნიშვნელოვანი წყარო აღმოჩნდა და გამოქვეყნდა, ბევრი ხელ-ნაწერის აღწერილობა არის დაბეჭდილი". ახალ მასალების გამოქვეყნებამ, რომლის დიდ ნაწილს მკითხველი „Извѣстія Императорской Академіи Наукъ"-შიაც იპოვნის, დიდი ცვლილება მოახდინა საქართველოს ისტორიოგრაფიაში. კვლევა-ძიებამ დამარწმუნა, რომ მამა-პაპეული შეხედულება ქართველ ხალხის მრავალ საუკუნოების ისტორიაზე, რომელიც ჩვენს მწერლობაში წინადაც და ეხლაც გაბატონებულია, მხოლოდ საისტორიო წყაროებისა და მეთოდების უცოდინარობაზე იყო დამყარებული. 8 წლის მუშაობამ არსებითად შესცვალა ჩემი შეხედულებაც და დამანახვა, რომ ჩვენი ერის წარსული ბევრად უფრო საყურადღებო და საგულისხმიერო ყოფილა, ვიდრე ჩვეულებრივ ეგონათ ხოლმე". ამ სიტყვებს რომ ჩაუკვირდეთ, დარწმუნდებით, რომ საჯაროდ გამოსვლა იმ ცოდნით, რომელსაც გა-

*) იხ. „დროება", N 113

ცვით თუ თავიანთ წარმომადგენლების გაგზავნით. სხვათა შორის ჟენევის სტუდენტები ყველა ეროვნებისა ჟენევის მოედანზე გამართავენ ამ შემთხვევისათვის „ისტორიულს კორტეჟს“, ბურიაობას და სხვას. რექტორის წინადადებით ქართველ სტუდენტობას უკისრნია ჯირითის მოწყობა ეროვნული დროშითა და სიმღერებით. სტუდენტობა უკვე შესდგომია მზადებას, შეუკვეთნია ქულაჯები და სხვა საჭირო ტანისამოსი და ნივთები. რადგან დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად ქართველ სტუდენტობას ბევრი ფული დასჭირდება, ამიტომ სახსრის მოსაპოვებლად და იმ აზრითაც რომ თავი გაეცნოთ ჟენევის საზოგადოებისათვის, სტუდენტობას გაუმართავს ქართული საღამო. ამ საქმეს მეთაურობდნენ რექტორი და 4 პროფესორი. საღამო საუცხოვოდ მოუწყვიათ და ალტაცებაში მოუყვანიათ საზოგადოება. განსაკუთრებით დამსწრეთ მოსწონებიათ ქართული სასიმღერო ხმები და ცეკვა. საღამოს დასწრებიან რესპუბლიკის პრეზიდენტი, უნივერსიტეტის პროფესორები თავიანთ სახლობებითა და ნათესავებით, სწავლა-განათლების მინისტრი და სხვანი. შემოსავალიც კარგი ყოფილა. საიუბილეოდ ერთ ქართველ სტუდენტისათვის დაუვალებიათ ლექციის წაკითხვა მეფე ვახტანგ მეექვსის სჯულდების შესახებ.

✦ **დრამატიულ საზოგადოების კრება.** როგორც გავიგეთ, ქართულ დრამატიულ საზოგადოების წევრთა წლიური კრება გადატანილი იქნება სექტემბრის პირველ რიცხვებისათვის.

✦ **ექსკურსია ავჭალაში.** ტფ. სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის დადგენილებით კვირას, 31 მაისს, საზოგადოების სკოლების მოსწავლენი მასწავლებლების და ზოგიერთ წევრთა ხელმძღვანელობით გაემგზავრებიან ავჭალაში ქალაქის წყლის აუზების, საფილტრო სადგურისა და სხვა მოწყობილებათა დასათვალიერებლად.

✦ **ვალის პატიება.** ამ ერთი წლის წინად ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების გამგეობამ ას თუმნამდე ისესხა ტფ. თავად-აზნაურობისაგან საზოგადოების სკოლისათვის სამუსიკო იარაღის შესაძენად. ერთი ნაწილი ნასესხებ ფულისა საზ. გამგეობამ უკვე გადაიხადა. დარჩა ვალად 750 მან. გამგეობამ უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა, სთხოვოს თავად-აზნაურობას აღნიშნულ ვალის პატიება.

✦ **ქართული დრამატიული საზოგადოება.** ქართულ დრამატიულ საზოგადოებას წლევანდელ სეზონში 2500 მანეთი დეფიციტი მოსვლია. გამგეობამ თათბირი იქონია იმაზე, თუ რა წყაროდან დაფაროს დეფიციტი და დააკმაყოფილოს მსახიობნი, რომელთაგან ბევრს უკანასკნელი ჯამაგირები არ მიუღიათ თურმე. გამგეობას აზრადა აქვს გამართოს სახალხო სეირნობა და წარმოდგენა. გადაწყვეტილია წარმოდგენა გამართოს 31 მაისს ქართულ თეატრის საზაფხულო განყოფილებაში და სეირნობაც იქვე, — ბაღში. წარმოდგენა და სეირნობა 31 მაისს გაიმართება, რასაკვირველია, იმ შემთხვევაში, თუ ამ დროისთვის საზაფხულო თეატრი მოესწრება.

✦ **მცარცველთა ბრბო.** პოლიციამ 21 მაისს, როგორც ვწერდით, დააპატიმრა იაგორ თეიმურაზოვი, ხოლო 20 მაისს მელიქ-მატეოსიანცი და თათოსიანცი. პოლიციის გამოძიებით, იაგორ თეიმურაზოვის მეთაურობით ამ რამდენიმე ხნის წინად შემდგარა მცარცველთა ბრბო, რომლის წევრებადაც დაპატიმრებულთა გარდა სხვანიც ყოფილან. ბრბოს მრავალი მცარცველობა და ავკაცობა ჩაუდენია: კოჯორის გზაზე მათ გაუცარცვავთ კონსტანტინე ონიკაშვილი, წაურთმევიათ მისთვის 1200 მან.; ერთი მწყემსისთვის წაურთმევიათ ძროხები; მონაწილეობა მიუღიათ ანდღულაძის ბავშვის გატაცებაში და ამაში აუღიათ 800 მან.; მიუღიათ მონაწილეობა 3 მაისს ნერსეს ღარიბოვის მოკვლაში; გაუცარცვავთ ალთუნაშვილი, ავალიანი, მელიქოვი და სხვანი. დაპატიმრებულნი ყველაფერში გამოტეხილან.

✦ **გლეხების კრება.** გაზეთ „რეჩ“-ში ვკითულობთ: „სახელმწიფო-სათათბიროს დეპუტატმა ჩხეიძემ გორის მაზრის გლეხებისაგან შემდეგი დეპეშა მიიღო: ჩვენ, გორის მაზრის, სოფელ ქვიშხეთის, ბეკამის, სავანისუბნის, ტეზერის, ბულბულის ხევის, გამოღმა ტეზების, ყიფიანთუბნის, ბელლებისა და მონასტირის მცხოვრებნი, — გთხოვთ იშუამდგომლოთ, რომ როგორმე უზრუნველგვყოთ თავად გიორგი ამილახვრის მოქმედებისგან. გიორგი ამილახვარი თავის რაზმით 8,500 მ. გვახდევინებს. ამის გარდა გთხოვთ უზრუნველგვყოთ თავად გიორგი ამილახვრის სხვა უკანონო მოქმედებებისაგან. ადგილობრივი ადმინისტრაცია ყურადღებას არ აქცევს ამას“.

✦ **სეირნობის შემოსავალი.** 24 მაისს „განათლების“ საზოგადოების მიერ მუშტაიდში გამართულ სეირნობას ბევრი ხალხი დაესწრო. როგორც გადმოგვცეს, წმინდა შემოსავალი ასს თუმანს აღემატება.

✦ **მკითხავი ქალი.** მკითხავებს დღესაც ბევრი მუშტარი ჰყავთ და არა მარტო მიყრუებულ ადგილებში, არამედ შიგ ტფილისშიაც. ერთი ასეთი ხალხის მყვლეფელი აღმოჩნდა პოლიციის მეცხრე ნაწილშიაც, ნიკოლოზის მოედნის მახლობლად, გონჩარნი ქუჩაზე. ეს მატყუარა გახლავთ ვინმე ეკატერინე ბაზინჯაგიანისა (საკუთარი სახლი, № 5). ამ მკითხავ ქალს სახელი გაუთქვამს იმდენად, რომ არა თუ შეუგნებელი, ბევრი ინტელიგენტიც მიდის მასთან სამკითხაოდ. ორ აბაზიან მკითხავს (ასე ეძახიან) ყოველ დღე აუარებელი ხალხი აწყდება. აქ ნახავთ მოსულ გლეხებს არა თუ ტფილისის გარშემო მდებარე სოფლებიდან, ცხინვალის ხეობიდანაც და სხვა ადგილებიდან. ორ აბაზიანი მკითხავი კარგად გაგეშილა ხალხის მოტყუებაში. მკითხავს მაგიდაზე სანთელი უნთია. გამწკრივებული აქვს ორ კაპეიკიანი ხატები ალექსანდრე ნეველისა, წმიდა გიორგისა, ღვთის-მშობლისა და სხვათა. მაცდური ქალი ჩასჩერებია ხატებს და იძახის სისულელეებს. უვიცი ხალხიც იჯერებს ამის ბოდვას. ის კი გველივით იკლანკება და აცხადებს, ხატი მიშვებს სამკითხაოდაო. იგი მიმსვლელთაგან იღებს თითო ნაჭერ პურს, სანთლებს, საკმეველს და ორ აბაზ ფულს. შუადღისას რომ მკითხავთან შეხვიდეთ, ნახავთ დახროკებულ პურებს, საკმეველს, სანთლებს და ფულს! შემთხვევით კედლის განჯინა გამოაღო ქალმა და შიგ ფუთზე მეტი შეყრილი საკმეველი და სანთელი სჩანდა. ვინც სიტყვას უბრუნებს, იმას უშვერის სიტყვებით ისტუმებს. ერთ ცოლქმარს ფული დაჰკარგოდა. მკითხავი მოკრძალებით შეუდგა გამოკითხვას. უნდოდა, ჯერ ამკარგველთაგან გაეგო საქმის ვითარება. ამას ცოლქმარი მიუხვდა და როდესაც სიტყვა შეუბრუნეს, მატყუარამ ცოლ-ქმარი გინებით გაჰყარა გარედ და დაიწყო სიტყვა: მათ ჩემზე გულში გაიფიქრეს, ვითომ მე ხალხს ვატყუილებდე, ამიტომ ხატმა შემკრა და ეხლა დანარჩენებს ველარ გიმკითხავებთო. გავიდა ნახევარი საათი და მატყუარა ისევ შეუდგა თავის საქმეს. მკითხველმა თავის თვალით უნდა ნახოს ამ საზიზღარ მატყუარას ოინები, რომ დარწმუნდეს, რამდენად შეიძლება ხალხის თვალების ახმა მატყუარისაგან.

✦ **ჩხრეკა და დაპატიმრება.** 23 მაისს გაჩხრიკეს ხალხი ერევნის მოედანზე, სასახლის ქუჩაზე, შუა ბაზარში და დააპატიმრეს 39 უპასპორტო კაცი.

✦ **თავ. გ. ა. ბაგრატიონ-დავითიშვილი.** როგორც „ზაკავკ.“ გადმოგვცემს, გუბერნიის მარშალი თავ. ბაგრატიონ-დავითიშვილი თავად-აზნაურთა თხოვნით კვლავაცა რჩება მარშლად.

✦ **გადასახლებულნი.** როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველს მოეხსენება, ამ რამდენიმე ხნის წინად ტურუხანის მხარეში გადასახლებულნი ნ. ვადაჩკორიას, ვ. ცაბაძის, ე. სართანიძის, ა. მაისურაძის, ე. პაკასაძის, პ. მაჭავარაძის, გ. მენთეშაშვილის, ვ. წიწვიაძის, ნ. ხამეტიკის, ფ. ცივინსკის, ნ. გაბაშვილის, ლ. ებრამძის და კ. ნინიძის ნათესავებმა დეპ. ჩხეიძეს სთხოვეს იშუამდგომლე, რომ ჩვენი ნათესავები ტურუხანის მაგიერ არხანგელის გუბერნიაში გაგზავნონო. „რეჩის“ სიტყვით შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგს ჩხეიძისთვის უცნობებია, რომ ზემოდ ჩამოთვლილ პირებს ორ-ორი წლით ვოლოგდის გუბერნიაში გადაასახლებენო.

✦ **დაპატიმრება.** „რუსკ. სლ.“ ეკატერინოდარიდან დეპეშით ატყობინებენ: „ერტამნის ცირკში დააპატიმრეს მოჭიდავე გაბუნია. მისი ნამდვილი სახელი და გვარი ზეინალმამედ-ოღლი ყოფილა. გაბუნია კატორგაში იყო გაგზავნილი; სასჯელის მოხდის შემდეგ მოუკლავს რამდენიმე კაცი და სხვა ბოროტმოქმედებანი ჩაუდენია“. გაბუნია შარშან ტფილისში ჭიდაობდა.

✦ პოლიციის მე-9 ნაწილში აფხაზის ქუჩაზე ნოვო-ალექსანდროვსკის მაზრის მცხოვრებს იოსებ სკრიტას ვიღაც უცნობებმა ხუთჯერ რევოლვერი ესროლეს. სკრიტა ორის ტყვით დასჭრეს. ეჭვით დააპატიმრეს ალექსანდრე ჯანაშვილი და კიორკი ქურდოვანიძე. დაჭრილი მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

✦ 25 მაისს ჩხუბის დროს რაჭის მაზრის მცხოვრებმა გრამიტონ კოვლაშვილმა ანტონოვის ქუჩაზე დანით გვერდში დასკრა დანიელ აკოფოვი. დაჭრილი მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს.

✦ 25 მაისს პოლიციამ გონჩარნი ქუჩაზე დააპატიმრა გადასახლების შემდეგ თავის ნებით რუსეთიდან გამოქცეული ალექ. ბაჟბეუკ მელიქოვი.

# ლუკა ჯავახიშვილი

ძვირფას ლუკას ასე უდროოდ დაკარგვა გულის სიღრმემდის ჩასწვდა ყველა იმის მეგობარ-ამხანაგს. დავკარგეთ საუცხოო მეგობარი, ძვირფასი მამულიშვილი, კეთილშობილი, ყოველდღივე მაღალ გრძნობით აღსავსე ადამიანი.

თხუთმეტმა წელმა განვლო მას შემდეგ რაც ჩვენ, მისი ამხანაგები, სწავლის დამთავრების შემდეგ დავშორდით ლუკას, მაგრამ სულიერად იგი ყოველთვის ჩვენთან იყო. უნივერსიტეტში, იმ მრავალ ამხანაგთა შორის, ლუკა ყველასთვის თვალმარგალიტი იყო. ძნელია აღწერა იმისი, თუ რა საყვარელი და სათაყვანებელი იყო ლუკა ჩვენთვის. გამოჩნდებოდა თუ არა ლუკა ამხანაგებში, ყველას სახე გაუბრწყინდებოდა, ყველანი ზნეობრივ კმაყოფილებას ვგრძნობდით. მისი გრძნობიერი, მაღალ-აზროვანი ბაასი ჩვენთვის ნამდვილი სიტკბოება იყო. თუ რამდენად სათაყვანებელი იყო ამხანაგებისთვის ეს კაცი, იქიდანაც სჩანს, სხვათა შორის, რომ იგი ჩვენი კურსის „სტაროსტა“ იყო. სამას სტუდენტს შორის ამხანაგებმა ლუკა პირველი აღიარეს.

არასოდეს არ დამავიწყდება ის წამი, [illegible] მინდობილობით [illegible] დროს [illegible] აღტაცება და მჭერმეტყველობა იყო ამ სიტყვაში, რომ მსმენელ პროფესორს ცრემლები წამოსკდა თვალებიდან. სტუდენტთა და პროფესორთა შორის ლუკა ყოველთვის შუამავალი იყო, იგი ყოველთვის ამხანაგებისთვის თავგამოდებული იყო, მზად იყო თავიც დაედო, თუ საჭიროება მოითხოვდა, ამხანაგების ინტერესების დასაცველად.

ლუკას ბაირონს ვეძახდით, მას ვამსგავსებდით. დარწმუნებული ვარ, ლუკაც თვალსაჩინო კაცი იქნებოდა, რომ ცხოვრების გარემოებებს არ დაეჩაგრათ მისი კურთხეული ბუნება. ცრემლებით თვალები მევსება, როდესაც წარმოვიდგენ, რომ ჩვენმა ძვირფასმა ლუკამ, მგრძნობიერმა და ბუნებით ასე უხვად დაჯილდოვებულმა კაცმა, სული დალია სადღაც მიყრუებულ მხარეში და თავისი მდიდარი ძალ-ღონე მკვდრების გაჭრას გადაალია.

შენი ხსოვნა ჩვენ გულში სამარემდის არ აღმოიფხვრება, ძვირფასო ამხანაგო! Sit tibi terra levis.

ექიმი ბადრიძე.

# მოწერილი ამბები

**კახეთი.** „აღარ მედირსა, მშვენიერო ჩვენო კახეთო, რომ გომბორის მთით შენს მშვენებას კვლავ გადმოვხედო...“ ასე ქებით იხსენიებს პოეტი ვახტანგ ორბელიანი მართლა და წალკოტად ქცეულ მიგნით კახეთს. მხოლოდ მას შეუძლიან წარმოიდგინოს კახეთის სიმშვენიერე, ვისაც თავისს თვალით უნახავს ალაზნის თვალ-წარმტაცი მიდამოები, რომელსაც ამშვენებენ დაბურული ჭალა, ხშირი ტყეები, მორთულ-მოკაზმული ვენახები, ჭირნახულით მოსილი აყვავებული მინდორი, ჩრდილოეთით მოდარაჯე ჭაღარა შემოსილი კავკასიონის ქედი, ჩხრიალა ანკარა წყაროები, გულჩათხრობილი დინჯად მოღუდუნე ალაზანი და სხვა მრავალი ბუნების სიმშვენიერე-სიკეკლუცე. ამბობენ, ერთი ინგლისელი კორესპონდენტი კახეთს ეწვია. აი სად დაუბღერტია ღმერთს თავისი უხვი კალთაო, უთქვამს მას და აქ მცხოვრებნიც ისეთივე ბედნიერნი სჩვენებიან, როგორც თვით ბუნება.

---

სავალი ჰქონდა 25—30 წლის წინად, ეხლა მეტად სათაკილოა პუბლიცისტისათვის, განსაკუთრებით იმისთანასთვის, რომელსაც სარდლობის სიყვარული უღვივის გულში. და ამგვარ წინ-დაუხედაობის შედეგი ის არის, რომ საქართველოს უძველეს ისტორიის შესახებ ჩვენს პუბლიცისტს შეუწყნარებელი აზრი აქვს შეთვისებული. გავყვეთ მის პოლემიკას და აშკარად დავრწმუნდებით, რომ ამ საგნის შესახებ გაჩუმება ერჩივნა ბ-ნ ანს. იგი მეკამათება და ამბობს: „მისის (ე. ი. ჩემი) აზრით, „უწინარეს ქრისტეს შობისა“ ჩვენ ცივილიზაციის ხანაში ვყოფილვართ და მერე დაღუპულა ეს ცივილიზაცია. ეს რომ ზღაპარია—უქართლის-ცხოვრებოდაც ცხადია *). ყველა ძველი ცივილიზაცია დაინგრა, ამასთანავე დაინგრა თვით ამ ცივილიზაციის მატარებელი ხალხებიც. აღარ არიან არც ელლინები, არც რომაელები, არც ფინიკიელები, არც სირიელნი; ხოლო ქართველები კი არიან; გამოდის, რომ აქ რაღაც სასწაულებაა, ჩვენი აყვავებული ქალაქები, სამოქალაქო წეს-წყობილება, მთელი ცივილიზაცია დანგრეულა, ხოლო ჩვენ, ქართველნი, ამ ცივილიზაციის მატარებელნი, დავრჩენილვართ! ასეთი უცნაური ამბები ყარამანიანშიაც არ არის ნაამბობი“.

ბ-ნ ანის გაკვირვებას ასეთი ფრთაგაშლილი იერი არ ექნებოდა, ამ საგნის შესახებ მეტი ცოდნა რომ ჰქონოდა. ბ-ნი ანი არა კითხულობს და არ იცნობს პრ. მარრის, ივ. ჯავახიშვილის და სხვათა ნაწარმოებს. ეს კი ძალიან სამწუხაროა. ბ-ნ ანს „ქართველ ერის ისტორიის“ პირველი ნაწილი არ წაუკითხავს. მართალია, ეს წიგნი ცოტა იმაზე გვიან გამოვიდა, რაც დაბეჭდა ბ-ნმა ანმა წერილები, მაგრამ ამ შრომაში ბევრი იმისთანა ცნობაა, რომელიც ცალკე წიგნაკებად თუ სამეცნიერო გამოცემებში წინადაც ჰქონდა გამოქვეყნებული პატივცემულ პროფესორს. ბ-ნ ანისთვის ყოველივე ეს უცნობი ხილია; მისი აზრით საუკეთესო ისტორია ის არის, რომელიც მას შეგირდობის დროს წაუკითხავს. და თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია კი მხოლოდ „ყარამანიანია“. მკითხველის ყურადღებას შევაჩერებ იმ ცნობებზე, რომლებსაც აქვეყნებს ბ-ნი ჯავახიშვილი უძველესს ისტორიის შესახებ თავის „ქართველ ერის ისტორიის“ პირველ ნაწილში.

უტყუარი ფაქტია, რომ თავდაპირველად ქართველი ტომები კავკასიაში არა სცხოვრობდნენ. მათი სამშობლო იყო XI—VII საუკ. ქრის. შობის წინ ძველი კაპადუკია, პონტო და ქალდეა. ქართველებს მაშინ სხვა სახელი რქმევიათ, სახელდობრ მუსკები და ტაბალი. იმ დროინდელ ქართველ ტომების შესახებ მდიდარი ცნობები მოიპოვება ასურულ წყაროებში. როცა ასურეთის ბატონი ტიგლატ-პილასარ I თავის 1100 წ. წარწერაში პირველად მუსკებს ანუ მესხებს იხსენიებს, მაშინ ისინი იმდენად ძლიერნი ყოფილან, რომ ასურელებს თავგამოდებით ეცილებოდნენ... მესხების სამოქალაქო ცხოვრება საკმაოდ დაწინაურებული ყოფილა და ქალაქებიც ბლომად ჰქონიათ. ტიგლატ-პალასარ და შემდეგ სარგონ მეფე (722—705 წ. ქრ. წ.) თავიანთ წარწერებში დიდ კვეხნაში არიან, მესხები ქალაქები დავაქციეთ და გადავბუგეთო... აშურ-ნასირ-აბალ მეფის დროს (884—860 ქრ. წ.) მესხების ასურეთის ხელმწიფეს ხარკად თითბრის ჭურჭელს, ხარებს, ცხვრებს და ღვინოს აძლევდნენ ხოლმე. მადნეულობის შემუშავებისა და ღვინის დაყენების ცოდნა, განსაკუთრებით კი ქალაქების არსებობა ამტკიცებს, რომ იმ დროს მესხებს დაწინაურებული მოქალაქობრივი ცხოვრება ჰქონიათ (გვ. 65). ტაბალებში საზოგადოებრივი განსხვავება და უსწორ-მასწორობა უკვე არსებობდა. სარგონი მოგვითხრობს ტაბალების ქვეყნის დიდებულები ტყვედ წავიყვანეო... ტაბალი და მუსკი მადნეულობის ხელოვნური ნაწარმოებით იყვნენ განთქმულნი. ქართველ ტომებს მარტო თავიანთვის კი არ უკეთებიათ მადნეული ჭურჭელი და იარაღი, არამედ ისეთ შორეულ ქვეყნებშიაც კი მიჰქონდათ ხოლმე გასასყიდად, როგორც იყო ტვიროსი. საყურადღებოა, რომ „კალის“ გარდა ძველს ქართულსა და მის ენა-კილოკავებში არც ერთი მადნის სახელი არ მოიპოვება, რომელიც უცხო ენებიდან ყოფილიყოს შეთვისებული... შედარებითი ენათ-მეცნიერება ამტკიცებს, რომ მადნების სახელები სხვა ერებს ქართველ ტომებისგან შეუთვისებიათ... ევროპიული ბრინჯაოს სახელი Bronze წარმომდგარია სპარსულ „ბირინჯ“-ისაგან, ხოლო სპარსულში ეს სიტყვა შეთვისებულია ქართულ ენა-კილოკავების საზოგადო სახელისაგან, სპილენძი, სვანური სპილენძ, მეგრ. ლინჯ... თითბრის სახელები ზოგიერთ ევროპიულ ენაში, მაგალითად, გერმანულად messing ანგლოსაქს. — mâsteing, ძველ. ნორ.—messing, პოლ. mosiadz ჰქვიან; ეს კი მოსსინე ანუ მოსსინიკის ტომის სახელისაგან არის წარმომდგარი.. რკინის, განსაკუთრებით, ფოლადის მომზადებაც ბერძნებს, როგორც ეტყობა, პირველად ქართველ ტომებისაგან შეუსწავლიათ. ეს ფოლადის ბერძნულ სახელიდანა სჩანს: „ხალიფს“, „ხილიბდიკის“, ხალიბების ტომის სახელწოდებისაგან არის წარმომდგარი და ხალიბებსა ნიშნავს... ერთის სიტყვით, უმთავრესი და კაცობრიობის წარმატებისთვის აუცილებლად საჭირო მადნების სახელები ან ქართველ ტომებისაგან არის შეთვისებული, ანა არა და მათ სატომო სახელწოდებისაგან არის წარმომდგარი. ამით ცხადადა მტკიცდება, რომ ქართველ ტომებს მადნეულობის შემუშავებაში კაცობრიობის წინაშე საპატიო ღვაწლი მიუძღვით (გვ. 67, 68, 69).

ამ ფაქტების აღნუსხვიდან შეიძლება ის დავასკვნათ, რომ მადნეულობის, განსაკუთრებით, რკინის ხმარების ცოდნა ველურობის ხანას არ ახასიათებს, არამედ ცივილიზაციის წინამორბედ ხანას, — ბარბაროსობის უმაღლეს საფეხურს. ბ-ნ ანის მოწმობით ქართველები იმ ხანაში, როდესაც უკვე კავკასიაში რამდენიმე საუკუნის განმავლობაში დაბინავებულნი იყვნენ, კაცი-ჭამია ველურებს ემსგავსებოდნენ. ხოლო ასურულ წყაროების მოწმობით, ქართველები მე-11 საუკ. ქრ. შ. წინად ბარბაროსობის უმაღლესს საფეხურზე იდგნენ. ბ-ნ ანისათვის ყოველივე ეს ყარამანიანის ნაამბობს ემსგავსება, რადგან მას არ ესმის ორი ფრიად მნიშვნელოვანი გარემოება — ერთი ის, რომ ქართველი ხალხი ახალგაზდა ხალხი კი არ არის, არამედ უძველესი; მეორე ის, რომ ქართველ ხალხის ისტორიაში, როგორც ბევრ სხვა ხალხის ისტორიაშიაც, იქნებ მთელ კაცობრიობის ისტორიაშიაც, განვითარებას და დაწინაურებას დაქვეითება და დაცემა მოსდევდა ხოლმე, ხოლო შემდეგ იყო აღორძინება. აი მოისმინეთ თვით ავტორი: „ჩვენ, ამბობს იგი, ე. ი. **თანამედროვე ერს** (კურსივი ჩვენია), საიდან გვექნებოდა ქალაქური წყობილება ქრისტეს შობის წინ, როცა ყველა თანამედროვე ერში (ევროპიელთა) ის აღორძინდა ფეოდალიზმის მიწურულებშიო. („ეკალი“, № 3) როგორც ჰხედავთ, ქართველები თანამედროვე ერად ვართ გამოყვანილნი. და ჩვენი ავტორი ისე უცნაურად არის წათამამებული იმ შეგნებით, რომ ჭეშმარიტებას აღიარებს, რომ უფრო მარტივად ხსნის თავის აზრს ქართველ ერის მცირე-წლოვანობის შესახებ. „ბ. ჯორჯაძე გვიგებს, განა ზღაპარია ასურეთის, ეგვიპტის, რომის და სხვათა ცხოვრებაო! მას ვერ გაუგია, რომ ეს ხალხები კაი ხანია აღარ არსებობენ, ისინი თანამედროვე ერნი არ არიან, **ხოლო ჩვენ ვართ** (კურსივი ჩვენია). ჩვენ ლაპარაკი გვაქვს არსებულ ერებზე, ბ. ჯორჯაძე კი გვითითებს არა არსებულზეო“ (იქვე). სცდებით, ბ-ნო ანო! ხალხი, რომელზედაც მწერლობითი ცნობებია მე-11 საუკ. ქრ. შ. წინ, უძველესი ხალხია. ასურელები და ფინიკიელებიც უძველესი ხალხები იყვნენ. ხოლო მათი სახსენებელი დღეს აღარ არის, ჩვენი კი არის. **მაშასადამე, ჩვენ უძველესთან ერთად თანამედროვე ერიც ვყოფილვართ.** მარქსისტულ დოგმებით დალარული ტვინი შეითვისებს თუ არა ამ მარტივ აზრს, არ ვიცი; ვიცი კი, რომ ყოველივე ეს ისტორიული სინამდვილეა. „მაშ გამოდის, რომ აქ რაღაც სასწაულებაა“, სიტყვას გვაწყვეტინებს ჩვენი მოკამათე. არა ბ-ნო ანო, არავითარი სასწაულთ-მოქმედება არ არის. საჭიროა მხოლოდ უფრო ღრმად ჩახედვა კაცობრიობის ცხოვრებაში და საჭიროა უფრო საღი შეხედულება ერის განვითარების და დაქვეითების კანონზე.

იმავ ბ-ნ ჯავახიშვილის შრომაში ვკითხულობთ: „...თუ 4 საუკუნის (ქრ. შობ. წინ) ქართველ ტომების ყოფა-ცხოვრებას იმ დროინდელ (11—7 საუკ.) მდგომარეობას შევადარებთ, შეუძლებელია მაინც არ შევამჩნიოთ, რომ ჩრდილოეთისაკენ წაწეულ ქართველებს ცხადი დაქვეითება ეტყობათ. ვაზის მოვლასა, ღვინის დაყენებას, საქონლის მოშენებას, მადნეულების დამუშავებასა და იარაღ-ჭურჭლის გაკეთებას, მართალია, წინანდებურად მისდევდნენ, მაგრამ სად იყო წინანდელი სიმდიდრე, სასახლეები, აუარებელი განძი და ქონება, რომლის ხელში ჩაგდებას თავის დროზე ასურეთის ბატონები კვეხულობდნენ ხოლმე. წინად მათ ქალაქები ჰქონდათ, მეოთხე საუკუნეში კი სალაპარაკოდაც არა ღირდა; რაც იყო, უფრო ციხეებს მიაგავდა ვიდრე ქალაქს“... (გვ. 75). აჰა!!! შემოგვძახებს გახარებული პუბლიცისტი. „ციხეებს მიაგავდა“? მეც მაგას არ მოგახსენებდით? არა, ბ-ნო ანო, თქვენ სულ სხვას მომახსენებდით. უძველეს კულტურის შესახებ თქვენ არავითარი წარმოდგენა არა გქონდათ. ჩვენ შორის ლაპარაკი იყო სტრაბონის დროინდელ და თამარ მეფის დროინდელ ქალაქურ ცხოვრების შესახებ. ერთიც, მეორეც ქრისტეს შემდეგ ხანაში იყო. ხოლო რაკი არ იშლიდით, და სასაცილოდ გახადეთ ძველი კულტურა საქართველოსი, ამ საგანზედაც საუბარს არ მოვერიდე და მგონი თქვენც დამეთანხმებით, რომ სცდებოდით.

არჩილ ჯორჯაძე.

(დასასრული იქნება)

*) დ. ბაქრაძე ემყარება „ქართლის ცხოვრებას“. ამიტომ იხსენიებს ამ წყაროს ბ-ნი ანი.

დიას, უცხო კაცს ასე ეგონება და შინ კი, როცა ვხედავთ კონკებში გამოხვეულ ძვალ-ტყავად ქცეულ კახელს, მის დაძაბუნებულ ოჯახს, ნახევრად მშიერ-მწყურვალ ცოლ-შვილს, აზრი [illegible] წინააღმდეგ [illegible]. კახეთი თავის დღეში არა ყოფილა ისეთ გაჭირვებაში, როგორსაც დღეს განიცდის. მისი ნაწარმოების ფასის დაცემამ, უბაზრობამ, უგზოობამ, დიდმა გარდასახადებმა, საერთო სიძვირემ და კრიზისმა დაბლა დასცეს კახეთის ნივთიერი მდგომარეობა.

ასეთ ბუნებით მდიდარ და უველაფრით შემკულ კუთხეში განა ისეთი სოფლები უნდა იყოს, რომ მცხოვრებთა რიცხვი გამრავლების მაგიერ, კლებულდებოდეს და ამოწყვეტის გზას დაჭდგომოდეს?! ეს მწარე სიმართლე გახლავთ. ბევრ სოფელს, ნამეტნავად ზემო მხარეს, სასმელი წყალიც-კი არა აქვს; მცხოვრებთ ხევის გაყვითლებულ-აშმორებულ წყლის სმა უხდებათ, რის გამოც ზაფხულობით საყოველთაო ციებ-ცხელება ჩნდება ასეთ სოფლებში, ამას მოსდევს ჩუმი ციება, მალარია და შემდეგი ფილტვების დაზიანებაა. ამისათვისაც არის, რომ კახეთში სიჭლექე, ეს დაუძინებელი მტერი კაცობრიობისა, ხშირია და თუ მივიღებთ მხედველობაში ჩვენ უვიცობას, მოურიდებლობას და გაუფრთხილებლობას, იგი უფრო ღრმად იდგამს ფესვებს და ვრცელდება სოფლად.

ამასთან მჭიდრო კავშირი აქვს, შეუძლებლობასთან ერთად, უვიცობასაც. მთელი კახეთი ქიზიყთან ერთად ძალზე ჩამორჩენილია. სოფლებში სკოლები იშვიათია და აქაც ისეა დაყენებული საქმე, რომ პრაქტიკული ნაყოფი არაფერია. იშვიათი გლეხი იქნება კახეთში წერა-კითხვა იცოდეს და [illegible] თავის გვარის მოწერაში 15—20 კ. გაიღოს. რაც შეეხება მწიგნობრობას და გათვითცნობიერებას, ამაზე მეტია ლაპარაკი. ამისთვის არაა გასაკვირველი, რომ ყოველისავე ცრუ-მორწმუნეობას ჯერ ისევ მკვიდრი ნიადაგი აქვს კახეთში.

რასაკვირველია ამისი უმთავრესი მიზეზი ისევ ის სიღარიბე გახლავთ, რომელიც ზემოდ მოვიხსენიე, და აგრეთვე ისიც, რომ კახეთი უგზოუკვლობით მოშწყვდეულია ოთხ-კედელ შუა, კულტურულ და ცოტად თუ ბევრად განათლებულ მხარეს სრულიად დაშორებულია გზის უქონლობისა გამო.

სულ სხვაა კახეთში რომ რკინის გზა იყოს. ჯერ ერთი სოფლის ნაწარმოებს ფასი დაედებოდა, ადვილად გასაღდებოდა, მეორე, მიმოსვლა გაადვილდებოდა, სოფლელნი გავიდ-გამოვიდოდნენ და გათვითცნობიერების გზას დაადგებოდნენ, კახეთის მდიდარ მადნებიან მთებში დაიწყებოდა მუშაობა (თ. ყარალაშვილების მადნის დამუშავებას რკინის გზის უქონლობა აბრკოლებს) და უეჭველია ეს კახეთს ძრიელ წასწევდა წინ.

ეული.

**ქუთაისი.** ქუთაისის პირველ-დაწყებით სასწავლებელთა კომისიამ გამგეობასთან შეთანხმებით გადასწყვიტა ქალაქის სკოლების უფროს განყოფილების მოწაფეთა სხვა და სხვა ქალაქებში საექსკურსიოდ წაყვანა და ამისათვის საჭირო ფული გაიღო. ფოთში წასასვლელად მოემზადნენ ქალაქის მესამე სასწავლებლის უფროს განყოფილების მოწაფენი. ბავშვების სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. შეიკრიბნენ სკოლის ეზოში, რიცხვით 35 ბავშვი და მასწავლებლების თანხლებით გაემგზავრნენ რკინის გზის სადგურისაკენ. ჩასხდნენ საკუთარ ვაგონში და გაუდგნენ გზას.

მთელი გზა ბავშვებმა გაიარეს სიმღერით და ლექსების თქმით. ღამის ათ საათზე ექსკურსანტები უკვე ფოთის სადგურზე იყვნენ, სადაც მათ შეხვდათ ქალაქის გამგეობის რწმუნებული მიხეილ დარახველიძე (ყოფილი მასწავლებელი). დარახველიძემ ექსკურსანტები წაიყვანა ფოთის ქალაქის სასწავლებლის შენობაში, სადაც მათთვის კიდევაც დაემზადებინათ ყველაფერი.

გათენდა მეორე დღე, მოსწავლეებმა ოთხი საათიდან იწყეს ადგომა. ამინდი საუცხოვო იყო. დარახველიძისავე ხელმძღვანელობით ექსკურსანტებმა დაათვალიერეს ქალაქის ბაღი, რესლერის შესანიშნავი ბაღი, ქალაქის სასწავლებლის ბაღი, ძველი სობორო, ახალი შესანიშნავი სობორო, დიდი და პატარა კუნძულები, ის შენობა. საიდანაც ზარბაზნებს ისროდა რუსის ჯარი ფოთის აღების დროს, კანდელი, ის ადგილი, სადაც რიონი უერთდება ზღვას, ნავთსადგური, ნავები, გემები, სახლის ჩასაჯდომი და საქონლის წასაღები, ელევატორები: მარგანეცისა და ხის მასალის. ისეირნეს ზღვაში გემით 2 საათს, ნახეს ელექტრონის სადგური თავის მოწყობილობით, მარგანეცი, პლატფორმა, მდინარე კაპარჭა, პალესტომის ტბა, გაიცნეს როგორ იჭერენ თევზს პალიასტომში და შემდეგ სად ინახავენ დაჭერილს, ისეირნეს ნავით პალიასტომში ორ საათს, ინახულეს პალიასტომის ახლო მდებარე „ოლღას პარკი" და სხვა...

მესამე დღეს საღამოს დიდათ ნასიამოვნები მასწავლებელნი და მოსწავლენი უკანვე დაბრუნდნენ. სამტრედიის სადგურზე ექსკურსანტები დარჩნენ სამ საათს. სამტრედიის ორ კლასიან ვაჟთა სასწავლებლის მასწავლებლებმა ექსკურსანტები მიიწვიეს თავიანთ სკოლაში და ჩაით გაუმასპინძლდნენ.

მ.

# ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘ

**აბდულ-ჰამიდი ისევ სალონიკშია.**

ის ხმა, ვითომ აბდულ-ჰამიდი სხვაგან წაიყვანეს სალონიკიდანაო, ტყუილი გამოდგა. იგი დარჩება სალონიკში იმ დრომდე, ვიდრე ეს ქალაქი იმ როლს ითამაშებს განმათავისუფლებელ მოძრაობაში, როგორსაც დღემდე თამაშობდა.

**ოსმალეთის პროვინციაში.**

„რუს. ვედომოსტი"-ს კორესპონდენტი საინტერესოდ ასწერს იმ ამბებს, რომლებიც ხდებოდა ამ ერთი თვის წინად ოსმალეთის პროვინციაში, სახელდობრ სირიაში. იგი სწერს:

„ჩვენი პროვინცია მეტად საშიშ წამს განიცდის. აბდულ-ჰამიდის მომხრეებს, რომლებიც აქ ბლომად არიან, ვერას გზით ვერ მოუნელებიათ მისი ტახტიდან ჩამოგდება.

— გვითხარით, თუ გწამთ მაჰმადი, — ყვიროდნენ ბაზრებში ფანატიკოსი-მონარქისტები, — განა შესაძლებელი საქმეა, რომ ვილაც იუზბაშმა (ასისთავმა) ხელი წაავლოს მართლ-მორწმუნეთა მბრძანებელს და ტახტიდან ჩამოიყვანოს იგი?" ოჰ, წყეულო ფარმასონებო! ღმერთისა თქვენ არ გეშინიათ, სჯული თქვენ არა გწამთ! თქვენ მუსულმანები არა ხართო!"

ბევრი წარჩინებული, დაქრთამული ილდიზისგან, აქეზებდა ამ სიმებს და ხალხს შურის საძიებლად იწვევდა და თან სხვა და სხვა ცილსა სწამებდა „ერთობისა და პროგრესის" კომიტეტს. ყველას ეშინოდა, ვაი თუ აქაც მოხდეს ისეთი უბედურება, როგორიც ადანაში მოხდაო... 27 აპრილს ქალ. დამასკში, რასაკვირველია მოხელეების ნებართვით, ციხეებიდან გამოუშვეს უბრალო ტუსაღები. ქალაქს თავზარი დაეცა. მაგრამ სწორედ ამ დროს ჯარი მოვიდა, მოხდა შეტაკება, რომლის დროს 3 კაცი მოჰკლეს და 20 დაასჰრეს, მე-5 კორპუსის უფროსმა ოსმან-ფაზი-ფაშამ საოცარი მხნეობა გამოიჩინა ამ დღეს. მან შეუთვალა დამასკის გენერალ-გუბერნატორს ნაზიმ-ფაშას: „თუ თქვენ, თქვენო აღმატებულებავ, დღეს ნებას მისცემთ, და გინდ ერთ უდანაშაულო კაცს მოაკვლევინებთ, მე ვუბძანებ რომ საკუთარ თქვენს სახლს დაუშინონ ზარბაზნიო". ასეთის ლონისძიებით გენერალმა უბედურება ააცდინა თავიდან ქალაქს. თუმცა ჯარი ასე მამაცურად მოიქცა, დამასკელი ფანატიკოსები მაინც არა სცხრებოდნენ: „არ ვიყაბულებთ სულთნის ტახტიდან ჩამოგდებას — ყვიროდნენ ისინი ერთხმად, — ყველანი იარაღს ავისხამთ და ჩვენის ფადიშაჰის საშველად წავალთ. გაგონილა, ურჯულოებმა ტახტიდან ჩამოაგდეს და სასახლიდანაც გააგდეს. ფადი-შაჰო! შურის ძიებავ, ჰოი წმიდა შურის ძიებავ"! დარწმუნებით ამბობენ, რომ კომიტეტმა ხელში ჩაიგდო ბევრი ამნაირ შინაარსის წერილი და დეპეშა, დამასკიდანა და სირიის სხვა ქალაქებიდან გაგზავნილი აბდულ-ჰამიდის სახელობაზეთ. ზოგიერთი პეტიცია დაწერილია, ფურმე 20,000 მართლ მორწმუნის სახელით, ხელს-კი ერთად ერთი კაცი აწერს.

ყველა ეს ვაჟბატონი მოკლე ხანში წარდგება სასამართლოს წინაშე და პასუხს აგებს თავის მოქმედებისთვის. აპრილს გასულს უკვე შეუდგნენ საქმის გამოძიებას. თქმა არ უნდა, რომ უფრო სასტიკად დაისჯებიან მათი თანამოაზრენი, რომელთაც ადანისა და ალეპოს ვილაეთებში ხოცვა-ჟლეტა გამოიწვიეს ადანაში უკვე მოვიდა რამდენიმე ბატალიონი „განმანთავისუფლებელ ჯარისა" (სალონიკის ჯარისა). ადანაში მისულ ერთ-ერთის პოლკის უფროსს ჰქვიან სახელად ენვერ-ბეი. იგი ჩასთვალეს რევოლიუციის ცნობილ გმირად და ამის გამო ჯარის მისვლამ ერთი ორად მეტი შთაბეჭდილება მოახდინა ადანის მცხოვრებლებზე. გამოძიება ადანაში, რასაკვირველია გამოაჩენს, ვის რა დანაშაული მიუძღვის ხოცვა ჟლეტაში, ბევრი სიკვდილითაც იქნება დასჯილი, მაგრამ სიკვდილით დასჯა და სახრჩობელა ხალხს ვერ დაამშვიდებენ. ასეთი აზრისაა „ერთობისა და პროგრესის" კომიტეტიც. ადგილობრივ კომიტეტის ერთ-ერთმა წევრმა მითხრა:

„იარაღის ძალით მოვიპოვეთ თავისუფლება, მაგრამ კულტურის დანგრევა იმავ იარაღის ძალით შეუძლებელია. ჩვენ გვინდა ისეთი სკოლა, სადაც ერთად ისწავლიან ყველა კლასისა და სარწმუნოების ბავშვები, სადაც სარწმუნოების ხსენებაც არ იქნება, რომ ბავშვების გონებიდან სამუდამოდ მთლად ამოიშალოს სარწმუნოებრივი განკერძოება. მარტო სარწმუნოებრივ მოთმინეობისა და სამშობლოსადმი სიყვარულის ნიადაგზე შეიძლება ნორჩ თაობის შეერთება. ხოლო ძველ თაობის იმნაირად შეერთება და დაახლოვება, რომ მუსულმანებს და ქრისტიანებს ერთმანეთი უყვარდეთ, — ეს აღემატება ადამიანის ძალას. მხოლოდ მაშინ, როდესაც მუსულმანი, კითხვაზე „ვინა ხარო?" ყველას უპასუხებს: „მე — ოტომანი ვარო" და არა ისე, როგორც ეხლა უპასუხებს ხოლმე: „მე — მუსულმანი ვარო", მხოლოდ მაშინ მოგვეცემა იმედი ოსმალეთის მშვიდობიან კულტურულ განვითარებისა".

სირიელი მუსულმანები თითქო გრძნობენ, რომ ისლამს მალე დაეკარგება თავისი წინანდელი ძალაო, ეს მათ ყველაზე ძლიერ აშინებს და აძულებს ახალგაზრდა ოსმალებს.

ინგლისის პოლიტიკოსთა წრეებში ხმა გავრცელდა, რომ ევროპის სახელმწიფოთა ჯარის გაყვანის შემდეგ კუნძული კრიტოსი ოსმალეთის უზენაეს ხელმწიფების ქვეშ დარჩებაო.

# ᲡᲐᲞᲐᲠᲡᲔᲗᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

**რუსის ჯარი სპარსეთში.**

„რუსკ. ვედომოსტი" ჰფიქრობს, რომ ევროპა ჩაერევა სპარსეთის საქმეებში და რუსეთის მოქმედების წინააღმდეგ პროტესტს განაცხადებსო. გაზეთი სწერს:

„როცა რუსის ჯარმა სპარსეთის საზღვარი გადალახა, რუსეთის გარეშე საქმეთა სამინისტრომ ნოტა გაუგზავნა უცხო სახელმწიფოებს და დაარწმუნა, რომ გაგზავნილი ჯარი იმ წამსვე დაბრუნდება, რა წამსაც ადერბეიჯანში წესიერება იქნება აღდგენილიო. მაგრამ რა არის „წესიერება"? საქმე იქამდე მივიდა, რომ ოსმალეთი, რომლის სახელი მთელი საუკუნოები დესპოტიზმის სიმბოლო იყო, ამ ჟამად მფარველობას უწევს და იხსნის სპარსეთის თავისუფლების მოსარჩლეებს იმ ბედისაგან, რომელსაც მათ უმზადებდა რუსის რაზმის უფროსი. სათარ-ხანს იხსნის ოსმალეთის კონსული, ხოლო სპარსელ კონსტიტუციონალისტების დეპუტაცია პარიზსა და ლონდონში იხვეწება, რომ სახელმწიფოები სპარსეთის საქმეებში ჩაერივნენ... და რუსეთის ორივე მეგობარი სახელმწიფო: ინგლისი და საფრანგეთი, უეჭველია, მეტის მეტად უხერხულ მდგომარეობაში გრძნობენ თავსა. მართლაც და სპარსეთში გაგზავნილ ჯარის დანიშნულების გაგებას გვიადვილებს გაზ. „ნოვოე ვრემია", რომელიც მთელი თვეები თხოულობდა რუსის ჯარის გალაშქრებას თავრიზზე. ეს გაზეთი სწერს: „შევკეთ-ფაშა და სათარ-ხანი აღელვებენ და ამხნევებენ რუსის ოპოზიციონერებს. მუსულმანთა ორსავე ქვეყნის რევოლიუციის გამარჯვება ძილს უფრთხობს ჩვენებურ პარტიებს, რომლებსაც ენატრებათ „ახალგაზრდა ოსმალთა" სახელი. ასეთ ოცნების ძირიანად ამოთხრისთვის უფრო დიდი მნიშვნელობა ექნებოდა „კანონიერ წესიერების" აღდგენას ოსმალეთში, აბდულ-ჰამიდის განთავისუფლებას ტყვეობიდან და ხელახლად ტახტზე აყვანას. მაგრამ ასეთ ნატვრებზე ფიქრიც-კი არ შეიძლება. მაშ სპარსელებსა და მათ სათარ-ხანს მაინც ვასწავლოთ ჭკუა... მაგრამ თუ ეს საქმე სრულიად ბუნებრივად მიაჩნიათ პეტერბურგში, ლონდონსა და პარიზში ვერ შეხედავენ საქმეს ამავე თვალით. მართალია ინგლისი და საფრანგეთი დიდი მეგობრები არიან რუსეთისა, მაგრამ შინაურ რევოლიუციონერების შესაშინებლად უცხოელ რევოლიუციონერების დამარცხების უფლებას მაინც არ მისცემენ რუსეთს. და ვინ იცის იქნებ ჩვენის მტრების გასახარად ევროპამ ამ საქმის თაობაზე ისეთი გაკვეთილი მისცეს რუსეთს, რომელიც ხელახლად შეელახავს მის ღირსებას".

**რას მოახმარებენ სესხსა.**

„რუს. სლოვო"-ს კორესპონდენტი იუწყება, რომ ის 1,000,000 მანეთი, რომელსაც სპარსეთის სამინისტრო სთხოვს რუსეთს, მთლად მოხმარდება შაჰის ვალების გასტუმრებასო.

**ახალ ჯარის დაარსება.**

სპარსეთის ახალმა სამინისტრომ გადასწყვიტა სულ დაითხოვოს ეხლანდელი ჯარი და სულ ახალი ჯარი დაარსოს ევროპიელ ჯარის მსგავსად. ამის თაობაზე სამინისტრომ რამდენჯერმე მოახდინა თათბირი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო ლიახოვმაც.

სამხედრო მინისტრი მუსტაფა-ულმამალიკი ლიახოვთან ერთად ადგენს ახალ ჯარის ორგანიზაციის პლანს. პირველ ხანებში ძლიერ მოუმატებენ ყაზახთა ბრიგადას.

**ლიახოვი.**

ლიახოვი ისევ დარჩა სპარსეთის სამსახურში; შაჰი წინანდებურად ძლიერ ენდობა და ყველაფერში ეკითხება ლიახოვს, რომელიც თავის მხრივ ყველაფერში რუსეთის საელჩოს ეკითხება.

# ᲠᲣᲡᲔᲗᲘ

✦ **ფრაქციიდან გასვლა.** „კასპის" სიტყვით ოქტომბრისტების ფრაქციიდან გამოსულან ფოლოლობოვი და ლვოვი. ამას გარდა გაზეთების სიტყვით პროფ. ალექსეენკოს გადაუწყვეტია ფრაქციიდან გავიდეს.

✦ **სინოდის ობერ-პროკურორი.** რუსეთის გაზეთების სიტყვით სინოდის ობერ-პროკურორი ლუკიანოვი თანამდებობას თავს ანებებს. მის ადგილას ნიშნავენ მის ამხანაგ როგოვიჩს.

✦ **იურიევის უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი პასეკი.** როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველს მოეხსენება, საერო განათლების მინისტრის განკარგულებით სამართალში მისცეს იურიევის უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი პროფესორი პასეკი. განზრახული ჰქონდათ, რომ პროფ. პასეკი, სანამ სასამართლო შესდგებოდა, სატუსაღოში ჰყოლოდათ. „კასპს" პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ, რომ პასეკი გამოძიების შემდეგ გაანთავისუფლეს. პასეკმა ბედ 7000 მანეთი შეიტანაო.

✦ **ახალი სესხი.** „რეჩი" სწერს: „ხმა დადის, რომ კამერგერ დავიდოვს წინადადება მისცეს საზღვარ-გარედ წავიდეს და იქ 1910 წლისთვის სესხი აიღოსო. როგორც ირწმუნებიან, დავიდოვი მალე წავა საზღვარ-გარეთ".

✦ **სიკვდილით დასჯა.** სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილი აქვთ: ჩერნიგოვში 1, კურსკში 3, ეკატერინოსლავში 4, მინსკში 2, მოსკოვში 2, ბლაგოვეშჩენსკში 1, ხარკოვში 1, უფაში 5, პეტერბურგში 1, ვარშავაში 2 კაცს. სიკვდილით დასაჯეს: ვილნოში 2, ოდესაში 1, უფაში 3, ხარკოვში 2, პეტერბურგში 1, კიევში 2, კურსკში 1, ეკატერინოსლავში 3, ჩერნიგოვში 2 კაცი.

✦ **საერო განათლების მინისტრის ბრძანება.** „რეჩის" სიტყვით საერო განათლების მინისტრის ბრძანება გამოცა. ბრძანებაში ნათქვამია, რომ სამოსწავლო ოლქის მზრუნველებს უფლება აქვთ კერძო გიმნაზიები, პროგიმნაზიები და რეალური სასწავლებლები დახურონო. ამას გარდა მინისტრი სასურველად სცნობს, რომ მზრუნველებმა, სანამ კერძო სასწავლებლებს დახურავდნენ, მინისტრს შეატყობინონ.

✦ **ამერიკელები რუსეთში.** რუსეთის გაზეთების სიტყვით ივნისში მოსკოვში ჩამოვა 200 ამერიკელი, მათ შორის, ბევრი მილიონერია. ამერიკელებს განზრახული აქვთ მოსკოვში ქარხნები გახსნან. არც ერთი მათგანი რუსულად არა ყოფილა, პირველად მოდიან.

✦ **ახალი საზოგადოება.** „რუს. ვედომ." ვკითხულობთ: მოსკოვში მოხდა კრება ახლად შემდგარ საზოგადოებისა, რომელსაც მიზნად აქვს, ხელი შეუწყოს რუსეთის ერების დაახლოვებას, ამიტომ საზოგადოებას განზრახული აქვს შეისწავლოს რუსეთში მოსახლე ერების ისტორია, მათი მოთხოვნილებანი და საჭიროებანი. საზოგადოების დამაარსებელი რუდოვსკია, რომელსაც კრებამ მიანდო წესდების შემუშავება და წარმოდგენა.

✦ **ჯალათების ბიურო.** „ნოვაია რუსში" „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის" მოსკოვის განყოფილების შესახებ საინტერესო ცნობებია დაბეჭდილი. სხვათა შორის გაზეთში ვკითხულობთ: „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის" მოსკოვის განყოფილების თავმჯდომარე ორლოვი, მოსკოვ-ბრესტის რკინის გზის პატარა მოხელე ჯალათის როლს ასრულებდა და ზოგიერთ შემთხვევაში ჯალათებს შოულობდა. მოსკოვის ყოფილმა გრადონაჩალნიკმა რეინბოტმა ჯალათების შოვნა მიანდო საიდუმლო პოლიციის უფროსს, ცნობილ მოისეენკოს, მოისეენკომ აქაც კი ისარგებლა და ეს საქმე შემოსავლის წყაროთ გაიხადა. როდესაც ორლოვს არა სცალოდა, ის მოისეენკოს წინადადებით შოულობდა ჯალათს. მოგებას ორლოვი და მოისეენკო იყოფდნენ. ორლოვმა ისე გაითქვა სახელი, რომ სხვა გუბერნიიდანაც კი სთხოვდნენ მას ჯალათებს. მუშაობა ისე გაძნელდა, რომ ორლოვი იძულებული გახდა, „კავშირის" განყოფილებასთან „ჯალათების ბიურო" დაეარსებინა. ამ ბიუროში ეწერებოდნენ ისინი, ვისაც ჯალათობა სურდათ, იყო ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ორლოვი ჯალათებს ფულს არ აძლევდა. ორმა ასეთმა მოტყუებულმა ჯალათმა სასამართლოშიაც კი უჩივლეს 200 მანეთზე, მაგრამ რადგან ჯალათებმა ვერ გაბედეს საჯაროთ ეთქვათ, თუ რათ უნდა მიეცა მათთვის ორლოვს 200 მანეთი, სასამართლოს არ შეუწყნარებია მათი საჩივარი". ორლოვი თავდაპირველად დიდი მეგობარი ყოფილა ჩვენში კარგად ცნობილ დეკანოზ ვოსტორგოვისა, მერმე რადაზედაც შემოსწყრომია. როდესაც ორლოვი რკინის გზიდან დაითხოვეს, იგი ვოსტორგოვს შეჰრიგებია და „რევიზორმა" „ჯალათების ბიუროს" ორგანიზატორი ორლოვი ციმბირში წაიყვანა.

✦ **სახადი რუსეთში.** გაზეთების სიტყვით რუსეთის ზოგიერთ ქალაქებში ძალიან გავრცელებულა სახადი, მარტო ქალაქ ხარკოვში 2,000 კაცია სახადით ავად თურმე. სატუსაღოებში და ციხეებში ხომ სათქმელი აღარ არის. სახადი აქ უფრო მით მძვინვარებს, რომ ერთი ტუსაღის ადგილას 20—30 ზის.

✦ **„ჭეშმარიტ რუსთა კავშირი".** „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის" მეთაურები ძალიან ცუდ მდგომარეობაში არიან. საქმე იმაშია, რომ ამ დღეებში სათათბირო მათ შესახებ შეკითხვას გაარჩევს. „კავშირის" წევრებს ვოლინის მთავარ-ეპისკოპოს ანტონისთან კრება გაუმართავთ. კრებას დაუდგენია ზომიერ-მემარჯვენეებსა და მემარჯვენე ოქტომბრისტებს მოვაგონოთ, რომ ჩვენც დავჭირდებით მათ და ურჩევნიათ შეკითხვას მხარი არ დაუჭირონ ამასთან „კავშირის" მეთაურები მთავრობას შეატყობინებენ, რომ თუ მთავრობა მათ მხარს არ დაუჭერს, ისეთ ამბებს გამოაქვეყნებენ, რომ აზეფის საქმეს გადააჭარბონ. ამის გარდა მთავარ-ეპისკოპოსი ანტონი და სხვა დიდი პირები გავლენიან პირებთან წავლენ და დახმარებას სთხოვენ.

✦ **ლ. ანდრეევი.** პეტერბურგის ერთ თეატრის ანტრეპრენიორს ლ. ანდრეევთან კონტრაქტი დაუწერია. კონტრაქტით ანდრეევი მოვალეა ყველა ის პიესები, რომლებსაც იგი 1909—1911 წლებში დასწერს მარტო ამ თეატრის ანტრეპრენიორს მისცეს დასადგმელად.

✦ **იაპონელი დრამატიული დასი.** „რეჩის" სიტყვით მოსკოვში ჩამოსულა იაპონელების დრამატიული დასი, რომელიც მოსკოვში წარმოდგენებს გამართავს. დასს ციმბირზე გამოუვლია და ყველა დიდ ქალაქებში წარმოდგენები გაუმართავს.

# ᲨᲔᲛᲝᲬᲘᲠᲣᲚᲝᲑᲐ

ქ. შ. წ. კ. საზოგადოების სამტრედიის განყოფილების სასარგებლოდ შემოსწირეს:

ანეტა მიქელაძე—ერთი სურა; ყარამან კოპალეიშვილი და ერმილე კოზრეიძე 17 ღია ბარათი და ვაჟა-ფშაველას „ცრემლები", მეაფთიაქე ფიალკოვსკი და აფთიაქის მოსამსახურენი: საპონი 25 ც. პუდრი მშვენიერ კოლოფში 1 ცალი; კბილის ფხვნილი, 3 ც., მდიერატუარი 2 ც., პუდრი 11 ც., „დუხი" 3 ფლაკონი, ოდეკალონი 2 ფლაკ., კბილის ელექსირი 1 ფლაკ., ჰიგიენური ძმარი 2 ფლაკ., გლიცერინა 3 ფლაკ., პუდრის ფოჩი 1 ც., ბრინჯაოს წყალი 1 ფლაკ., „პომადა" 3 ბანკა, «იდეალი» 1 პარკი და ფერუმარილი 4 ცალი; შალვა კორძაია—სათამაშოები 3 ც; გ. ბ. მიქელაძის ასული—სათამაშო ხელთოფა; მ. თ. კალანდარაშვილი—2 ც. საფერფლე; ლ. და ა. შანიძე—1 ც. ძვირფასი ქინძისთავი; ი. გუნია—6 ც. ცხვირ. მანდილი; ბ. ღოხშეზური—ტყავის ხაწიგნე 3 ც. და ორასამდე ც. სახაზავი 10; გ. პიკაჩეიშვილი—ხელის ნაკერი ბალიშზე გადასაფარი; ი. დარახველიძე—პატარა კალათი 1 ც; ლ. მზარელუა—საპონი „ვერა-ვიოლეტა" 3 ც; გ. მიქელაძის ასული—ხელთ-ნაკერი ჩანთა 1 ც; ა. მიქელაძის ასული—ხელთ-ნაკერი ფეშთემალი 1 ც; მ. პ. სტეფანიძე—ხელთ-ნაქსოვ-ნაქარგი ცხვირ. მანდილი 2 ც.; ბ. სიხარულიძენი—½ გ. ყავა, 6 ც.; 1⅞ ჩაი, 15 ც., დიდი ფორმატის ფოსტის ქაღალდი 5 პარკი, პატარა ფორმატის კონვერტი 3 კოლ., ½ გ. კრახმალი 20 კოლ., ¼ გ. ლილა 20 კოლ., სამოვრის საწმენდი ფხვნილი 20 კოლ., „არატი" 10 კოლ. და ერთი წყვილი მამალ-დედალი იტალიურ ჯიშისა.; სამტრედიის კონდუქტორების ბრიგადა—ფულად 15 მან. 50 კაპ.

| | |
|---|---|
| გამგე ლატ. ალ. | მ. ა. გლადკოვისა |
| თავმჯდომარე გ. | გ. სიხარულიძე |


# ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

**პირველი კერძო სამკურნალო**

**დოქტ. ნავასარდიანისა**

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ყოველ დღე, კვირეების გარდა

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) და საშარდე.

**უ. მ. ჩიქოვანი:** 9 ნახ.—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ნახ. ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—1 ნახ. ს. შინაგან და ბავშვებისა.

**ა. მ. ტურბოვიჩი:** 1 ნახ.—2 საათამდ. საბებიო და ქალებისა.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ი. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6 ნახევ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. დ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილების აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დოქტორი

მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

(წ.—1—93)

**ექიმი ე. ს. ხუნდაძე** ქუთაისში იღებს შინაგან, საშარდე და ქალთა სნეულობით ავადმყოფებს, აგრეთვე ბებიაობს, ყოველ დღე: დილით 10—1 ს., საღამოთი 6—7 ნახევარ საათამდე, ლევაშოვის ქუჩა, ს. N 29 ჩარექოვისა.

(წლ.—6.—61)

# ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ

ორი ნაჭერი მიწისა თავად-აზნაურთა გიმნაზიასთან ვერაზე, ვაკეში: 1. ზომით 360 ოთხკუთხი საჟ.; 2.—436 ოთხკ. საჟ. ორივე კუთხის ადგილია. იკითხეთ გ. ყიფშიძესთან იქვე, საკუთ. სახ., დილით 10 საათამდე და საღამოთი 4—7 საათზე.

(5—260—5)

**მუხჯალტრის საზაფხულო**

# ᲙᲣᲠᲡᲔᲑᲘ

განაგრძობს მიღებას სწავლის დაწყ. 1 ივნისს. სუსტები მეორედ რჩებიან უფასოდ. ინსპ. საკ. სკოლ. და კურს. იგ. ზ. ტერ-სტეფანოვი. ავჭალის ქ. დასაწყისში, 1 თუმან. ქ., ს. ს., N 13.

(3—278—2)

გამოვიდა გასაყიდად ორი ახალი წიგნი (რუსულ ენაზე)

1. КАКЪ ПРОЖИТЬ 100 И БОЛѢ ЛѢТЪ БЕЗЪ БОЛѢЗНЕЙ? ფასი 20 კაპ.

2. ВЪ ЧЕМЪ СПАСЕНЬЕ? Демократизація капитала (წინააღმდეგ ბანკებისა და სესხისა). ფ. 40 კაპ. გაგზავნით. მიმართეთ ივანე პავლეს ძე რუსტომაშვილს, ქ. ტფილისში, თუმანიანთ ვიწრო ქუჩა, N 38. გამყიდველებს დაეთმობათ 25%.

(2—276—2)


სტამბა „სინათლე", დიდი ვანქის ქუჩა, № 12. რედაქტორ-გამომცემელი ბ. ს. აბლაძე.